პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ლა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8 81
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფეების და მასწავლებლებ სათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- — მუშათა მოძრაობის დევნა ლატვიაში.
- — რუმინეთმა დაამტკიცა კელოგის პაქტი.
- — ტროცკის გამოსვლა აღშფოთებას იწვევს ინგლისის მუშებში.
- — ჰუვერი ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ.
- — კატასტროფა „მარია“-ს მაღაროში.—დაიღუპა 27 მუშა.
- — დაიხურა საგეგმო კომისიების საკავშირო ყრილობა.

შაბათი, 16 მარტი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 60 (2406)

20 მარტს, სასახლის წითელ დარბაზში
გაიხსნება
საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის
პლენუმი

მორიგი ამოცანების წინაშე

(საქ. მუშგლეხკორთა თათ ბირის დასრულების გამო)

სრულიად საქართველოს მუშგლეხკორთა პირველ თათბირმა დაასრულა თავისი მუშაობა. ოთხი დღის განმავლობაში თათბირი იშვიათი აქტივობით და ინტერესით არჩევდა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის საჭირბოროტო საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის თვითეულ დელეგატმა კამათში გამოსვლით, შეკითხვებით, თუ პრაქტიკული წინადადებების შეტანით ცხოველი მონაწილეობა მიიღო თათბირის მუშაობაში. დელეგატების ასეთი იშვიათი აქტივობა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მუშგლეხკორთა მასები მშრომელთა ნამდვილ მოწინავე რაზმს, საბჭოთა აღმშენებლობის ნამდვილ თავდადებულ მუშაკებს წარმოადგენენ. თათბირმა ცხადყო, რომ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა უკვე მძლავრ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს სინამდვილეში. უფრო მეტი, თათბირმა დაამტკიცა, რომ ჩვენი პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, რომელნიც მოწოდებულნი არიან უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშგლეხკორთა მუშაობას, მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას. ამ მოძრაობამ წინ გაუსწრო ჩვენს ვარაუდს და გეგმებს მუშგლეხკორთა შორის მუშაობის დარგში.

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა არმია იზრდება მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობასთან ერთად, რასაც საფუძვლად უდევს სოციალისტური მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა და მშრომელი მასების კულტურულ-პოლიტიკური წინსვლა. პირველი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს აქედან, ეს არის ის, რომ ჩვენმა პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა მუშგლეხკორთა მოძრაობაზე, ისინი უფრო მჭიდროთ უნდა დაუახლოვდნენ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომ გაუთანასწორდნენ მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარების ტემპს და ნამდვილად სათავეში მოექცნენ ამ მოძრაობას.

კამათში გამოსული დელეგატები უმთავრესად ეხებოდნენ მუშგლეხკორთა მოძრაობის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი ორგანოების მისამართით გამოთქმული საყვედური. დელეგატების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, პროკურატურა, მილიცია და სხვა ბევრგან შესაფერი ყურადღებით არ იპყრობიან მუშგლეხკორთა შორის მუშაობის საკითხს. ზოგჯერ ხელმძღვანელობის ნაცვლად ადგილი აქვს მუშგლეხკორთა მუშაობაში უხეშ ჩარევას და პარტიის ხაზის დამახინჯებას. ასეთი მდგომარეობა, თავისთავად ცხადია, აფერხებს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა განვითარებას და ხელს უწყობს მავნე გადახრებს მუშგლეხკორთა შორის მუშაობაში.

ადგილობრივ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ითვალისწინებენ მუშგლეხკორთა მოძრაობის მთელ მნიშვნელობას სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. მუშგლეხკორთა შორის მუშაობა ჯერ კიდევ მეორე ხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული. ასეთი განწყობილება ნიადაგს ქმნის უყურადღებობისათვის მუშგლეხკორთა პრაქტიკულ შენიშვნებისადმი, ეს მდგომარეობა ობიექტიურად ახალისებს მუშგლეხკორთა მდევნელთ. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ თათბირის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა განსაკუთრებული სიმწვავით აყენებდა საკითხს მუშგლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერების და მუშგლეხკორთა მითითებებზე სათანადო ორგანოების აქტიურად და დროულად გამოხმაურების შესახებ.

მუშგლეხკორთა არმიამ უდიდესი თავდადებული მუშაობით საბჭოთა საქმის საკეთილდღეოთ, თავის საპასუხისმგებლო როლით ჩვენს აღმშენებლობაში უკვე ფაქტიურად მოიპოვა იმის უფლება, რომ ამ მოძრაობას სათანადო ანგარიში გაეწიოს, რომ შესაფერისად გაძლიერებულ იქნას ყურადღება მუშგლეხკორთა შორის მუშაობის საკითხებისადმი. ადგილობრივ ორგანიზაციებმა აქაც უნდა მიბაძონ პარტიისა და ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. საქართველოს მუშგლეხკორთა პირველ თათბირს პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრა. თათბირს ესწრებოდნენ ამიერ - კავკასიის და საქართველოს პარტიულ და ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების ყველაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირი შეჩერდა თავის შინაურ მტკივნეულ საკითხებზედაც. ის გარემოება, რომ პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მფარველობას უწევს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომ პრესას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკე პირის საზოგადოებრივ თუ თანამდებობრივ მდგომარეობაში, საბაბს აძლევს ზოგიერთ საეჭვო ელემენტებს, ბოროტად გამოიყენონ მუშა და გლეხი კორესპონდენტის საპატიო სახელი. ეგრედ წოდებული ცრუკორესპონდენტობა, მუშკორულთ ყოყოჩობა, კარიერისტობა, მლიქვნელობა და სხვა, რაიც ჩირქს სცხებს მუშგლეხკორთა ავტორიტეტს, ისეთი სენია, რომელსაც პირველყოვლისა დაუნდობლად ებრძვიან თვით მუშა და გლეხი კორესპონდენტები. კამათში გამოსულმა დელეგატებმა მრავალი დამახასიათებელი ფაქტები მოიყვანეს მუშგლეხკორთა მოძრაობის ამ მახინჯ მხარეების საილუსტრაციოთ და დაჟინებით მოითხოვეს ყოველ ცალკე შემთხვევაში დამნაშავეთ სამაგალითოდ დასჯა.

დასასრულ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ თვით თათბირის შემადგენლობას. აღსანიშნავია, რომ თათბირზე სრული გამოხატულება ჰპოვა საქართველოს მუშგლეხკორთა მასამ. წარმოდგენილი იყო დელეგატები შორეულ რაიონებიდან. თათბირზე ჩამოსულთ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც პირველად ნახეს თბილისი. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად ღრმად შეიჭრა ჩვენს სინამდვილეში მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა.

მუშგლეხკორთა პირველი თათბირი უთუოდ დიდ მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს საქართველოს მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარების ისტორიაში. მან დასახა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი მუშა და გლეხ კორესპონდენტთა შორის მუშაობის დარგში. თათბირმა გამოიმუშავა მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარების ახალი ფორმები და ამ მოძრაობაზე ხელმძღვანელობის ახალი მეთოდები. თათბირის დადგენილებები ამიტომ განსაკუთრებით საგულისხმო სახელმძღვანელო მასალას წარმოადგენს მუშგლეხკორთა შორის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობისათვის. ეს დადგენილებები გულდასმით უნდა შეისწავლოს არა მარტო თვითეულ მუშა და გლეხ კორესპონდენტმა, არამედ ჩვენი პერიოდულ გამოცემათა, პარტიულ საბჭოთა ორგანოების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყოველ მუშაკმა.

მუშგლეხკორთა მოძრაობის შემდგომი სწრაფი განვითარება ჩვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ მორიგ საჭირბოროტო ამოცანებს. იმისათვის, რომ ეს ამოცანები წარმატებით იქნას გადაჭრილი, საჭიროა რაც შეიძლება მთლიანად გამოყენებულ იქნას არსებული გამოცდილება მუშგლეხკორთა შორის მუშაობის დარგში და ფართოდ იქნას გაშუქებული საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირის დადგენილებები.

ყალბი საბუთების გარშემო

ვოლფის სააგენტო, გერმანიის ოფიციალური სააგენტო, იუწყება: ბერლინის პოლიციე-პრეზიდენტმა ცერგიბელმა უარჰყო გაზეთების ცნობები იმის შესახებ, ვითომ ორლოვსა და სუმაროკოვს სისხლის სამართალში არ მისცემენ და მათ მხოლოდ გერმანიიდან გადაასახლებენო. როგორც პოლიციე-პრეზიდენტმა განაცხადა, ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება. ორლოვსა და სუმაროკოვს სისხლის სამართალში მისცემენ ყალბი საბუთების დამზადებისა და თაღლითობისათვის, რაც შეეხება გადასახლებას, ეს ზომა მათ მიმართ მიღებული იქნება მხოლოდ პროცესის დამთავრების შემდეგ.

პოლიციე-პრეზიდენტს გაზეთებთან პოლემიკა დასჭირდა იმისათვის, რომ უარეყო შეცდარი ცნობები ორლოვისა და სუმაროკოვის მომავალი გასამართლებისა და გადასახლების შესახებ. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სწორედ გაზეთი „ფორვერტს“-ი იყო, რომელმაც ფრიად ავტორიტეტულად განაცხადა, რომ უკვე არის გამოტანილი დადგენილება ორლოვის გადასახლების შესახებ და, რომ მას წინადადება მიეცა აიღოს ვიზა რომელსამე სახელმწიფოში წასასვლელად. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ორგანოს განკარგულებაში იმყოფება შემოწმებული ცნობები ბერლინის იმ პოლიციის მოქმედების შესახებ, რომლის სათავეშიაც სდგას სოციალ-დემოკრატი ცერგიბელი.

მაგრამ ჩვენ განზე ვტოვებთ საკითხს—„ფორვერტს“-მა დაბეჭდა შეუმოწმებელი ცნობები პოლიციე-პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესახებ, თუ, პირიქით, მართალი არის პოლიციე-პრეზიდენტი, რომელიც „ფორვერტს“-ის ცნობებს უარჰყოფს. ჩვენ მზად ვართ ანგარიში გაუწიოთ პოლიციე-პრეზიდენტის ოფიციალურ განცხადებას იმის შესახებ, რომ ორლოვსა და სუმაროკოვს სისხლის სამართალში მისცემენ და მათ გერმანიის ფარგლებიდან იმ დრომდე არ გადაასახლებენ, სანამ არ დამთავრდება სასამართლო პროცესი. არამც თუ ცნობად ვიღებთ, არამედ ვესალმებით კიდეც ამ განცხადებას, რამდენადაც იგი ნაბიჯის წინ გადადგმას ნიშნავს იმ იარის გამომჟღავნებისა და გამორკვევის საქმეში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბერლინში და რომელსაც სახელად ეწოდება ყალბი საბუთების ფაბრიკა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ საქმეს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რისთვისაც მას საკმაო და სრულიად კანონიერი მიზეზები აქვს.

თუ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს მხედველობაში არ მიიღებდნენ და ბოლომდე არ მიიყვანდნენ ორლოვისა და სუმაროკოვის „მუშაობის“ გამოძიებას, ეს, უეჭველია, დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა. ამიტომ, ვიმეორებთ, პოლიციე-პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, რომ ორლოვისა და სუმაროკოვის საქმე სასამართლოს გადაეცეს, კმაყოფილებით შეხვდება საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა არ შეანელებს ყურადღებას გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგებისადმი და მოლოდინი ექნება, რომ გერმანიის სასამართლო ისეთ პირობებს შექმნის, რომლებიც შესაძლებლად გახდიან ამ მუქთიანი საქმის ყოველი კვალის გამოაშკარავებას, განურჩევლად იმისა, თუ რა მიმართულებით იქნება საჭირო ამ კვალის გამოაშკარავება.

გერმანიის საზოგადოებრიობამ უნდა გაიგოს, რომ ორლოვისა და სუმაროკოვის საქმე საბჭოთა კავშირისათვის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ გვაინტერესებს არა იმდენად ყალბი საბუთების დამამზადებელთა ბედ-იღბალი, რამდენადაც ის დამკვეთელები, რომლებიც მათი „მუშაობით“ სარგებლობდნენ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის გამეორება, რომ ანტისაბჭოთა საბუთების ფაბრიკაციის მეთოდი ბრძოლის ჩვეულებრივ იარაღად გადაიქცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თუმცა ასეთი ტიპის მთავარი „საბუთები“, მაგალ., „ზინოვიევის წერილი“ და მისი მსგავსი „დოკუმენტები“, უკვე ნიღაბახდილია, თუმცა ადგილი ჰქონდა დრუჟელოვსკის, სავინკოვის პროცესებს და ეხლა ორლოვისა და სუმაროკოვის პროცესის მოლოდინში ვართ, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ანტი-საბჭოთა საბუთების იარაღი მაინც მოქმედებს და მათ მუშაობა არ დაღლეიათ. სწორედ ამიტომ ვართ დაინტერესებულნი, რომ „საბუთების სამზარეულოს“ ყველა საბურველი მოეგლიჯოს, მისი ყოველი საიდუმლოება გამომჟღავნდეს და ყველამ დაინახოს, თუ რა საშუალებებს მიმართავენ ისინი, ვისაც აუცილებლად სურს ჩაშალოს საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გარე ქვეყნიერებასთან.

გერმანიის საზოგადოებრიობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ იგი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირისა და დასავლეთი ევროპის ქვეყნების ურთიერთობის განვითარებით. თუ ეს განცხადებანი სინამდვილეს შეეფერება (ჩვენ საბუთი არა გვაქვს დავეჭვდეთ), მაშინ ყოველგვარი ზომა უნდა იქნას მიღებული იმ ჯგუფებისა და პირების გამოსააშკარავებლად, რომლებიც ცდილობენ ზღუდე შექმნან საბჭოთა კავშირსა და გარე ქვეყნიერებას შორის.

თუ ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა ანტი-საბჭოთა საბუთების დაკვეთისა და დამზადების მეთოდების გამოაშკარავება, ეხლა ეს ინტერესი უფრო დიდია.

ბოლო დროს ზოგიერთ სახელმწიფოს ერთგვარი გარდატეხა დაეტყო, უკეთ თუ ვიტყვით —ტენდენცია საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების გარდატეხისა. ამ ტენდენციას გვიჩვენებს იმ შეხედულებათა განსაზღვრული რევიზია, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა კავშირის იზოლაციის განხორციელების შესაძლებლობასა და სარგებლობას. რაიმე საბოლოო დასკვნების გამოტანა ამ ჩასახული ტენდენციიდან ჯერ კიდევ ადრეა. მაგრამ გვერდს ვერ ავუქცევთ იმ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ტენდენციის არსებობას.

ცხადზე-უცხადესია, რომ ამ ტენდენციებმა ძლიერად უნდა შეაშფოთონ ის წრეები და ჯგუფები, რომლებიც განაგრძობენ ანტი-საბჭოთა ფრონტის ძალების დარაზმვასა და შეკავშირებას. ანტი-საბჭოთა საბუთების დამკვეთნი სწორედ ამ ბანაკში იმყოფებიან. ისინი არიან საგანგებოდ დაინტერესებულნი, რომ არ განვითარდეს ის ტენდენცია, რომელიც ხელს შეუწყობს კაპიტალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სწორედ ეს მიზანი ჰქონდათ ორლოვის ყალბ საბუთებს, რომლებიც სახელს უტეხდნენ ამერიკელ სენატორებს ბორასა და ნორისს. წინასწარი გამოძიების დროს ორლოვმა ფრიად გულახდილად განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენდა სენატორ ბორასათვის ჩირქის მოცხება, ვინაიდან ყალბი საბუთების დამკვეთელებს ეშინოდათ ბორას გავლენისა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობაზე.

ჩვენ სრულებითაც არ გაგვიკვირდება, თუ გამოქვეყნდება „ზინოვიევის წერილის“ ტიპის რამიე ყალბი საბუთი, მეტადრე ინგლისის არჩევნების მოახლოების მომენტში, ის აგლა-დიდება, რომლითაც კონსერვატორების პარტია ამ არჩევნებზე მიდის, მეტად მცირეა და გამარჯვების ბრწყინვალე შანსებს არ უქადის მას. რადგან კონსერვატორებმა „ზინოვიევის წერილის“ წყალობით ერთხელ უკვე გაიმარჯვეს (1924 წლის არჩევნების დროს), ამიტომ შეიძლება მათ ამომრჩეველთა გასულელების გამეორების ცდუნებას ვერ გაუძლონ. შეუძლებელი არ არის „ზინოვიევის წერილის“ მეორე გამოცემა არა მარტო ინგლისში, არამედ სხვაგანაც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სრულიად ცხადია, რომ ყალბი საბუთების მიმწოდებელთა და დამკვეთთა ძირის-ძირობამდე გამომჟღავნება და დღის სინათლეზე გამოყვანა საჭიროა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მოწადინებულია საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ ორგანიზაციებისა და იმ ჯგუფების პერსონალურ მხილებას, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ამ მეთოდებს მიმართავენ, არამედ ასეთი სახის დაკვეთათა სპეციალური მიზნის გამოაშკარავებასაც.

ორლოვისა და სუმაროკოვის პროცესი საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრისათვის ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთი იქნება ყველა იმისა, რასაც ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ „ზინოვიევის წერილის“ ტიპის საბუთების შესახებ.

ორლოვისა და სუმაროკოვის პროცესი ზედმეტ საბუთს მოგვცემს იმისათვის, რომ არამც თუ სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ამ საბუთების წინანდელი დამკვეთელები, არამედ წინდაწინვე მოვაგლიჯოთ ნიღაბი სენსაციას იმ საბუთების სინამდვილის შესახებ, რომელთა გამოქვეყნებაც ყოველ წუთს არის მოსალოდნელი.

„იზვესტია“, 15 მარტი.

განიარაღებაზე ლაყბობა და ინგლისის შეიარაღების ზრდა

მომავალ საბიუჯეტო წელში ინგლისი აგებს 3 ახალ კრეისერს

პოლონეთის სეიმმა სასამართლოს გადასცა კომუნისტი დეპუტატები ამხ. ბიტნერი და ბარსკი

ბესარაბიაში იზრდება სიმშილობა.--საალყო წესები სამხრეთ ბესარაბიაში

ინგლისის „განიარაღება“

ლონდონი, 14 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის საზღვაო მინისტრმა ბრიჯმენმა თემთა პალატაში შეიტანა საზღვაო უწყების ბიუჯეტის პროექტი. მან განაცხადა, რომ მომავალ საბიუჯეტო წელს განზრახულია აგებულ იქნას სამი ახალი კრეისერი, რომლებმაც უნდა შეცვალონ ზოგიერთი ძველი პატარა უკვე გაფუჭებული კრეისერები. ამასთანავე ბრიჯმენმა სთქვა: განიარაღების საქმეში ინგლისმა ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანამ. ზავის დადების დროსათვის, — ბრიჯმენის სიტყვით, — ინგლისმა მოსპო 2.150.000 ტონა და გააუქმა აგება გემებისა, რომელთა ტონაჟი 814.000-ს უდრიდა. შემდეგ ბრიჯმენმა გაიხსენა ბოლდუინის განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისს განზრახვა არა აქვს მეტოქეობა გაუწიოს ამერიკას საზღვაო შეიარაღების საქმეში.

კამათის შემდეგ თემთა პალატამ უარჰყო მუშათა პარტიის დეპუტატის მიერ შეტანილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ პალატა მოუწოდებს მთავრობას აწარმოოს უფრო გარკვეული და მოფიქრებული პოლიტიკა, რათა მიღწეულ იქნას საერთაშორისო შეთანხმება საზღვაო შეიარაღებათა საერთო შემცირების შესახებ.

ამ რეზოლიუციის საპასუხოდ ბრიჯმენმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ რეზოლიუცია არ იწვევს დავას, მაგრამ იგი სულ არ არის საჭირო, რადგან მთავრობამ „ყოველგვარი ზომა მიიღო იმისათვის, რომ დადებულიყო საერთაშორისო შეთანხმება საზღვაო შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ“ (ადს).

ფაშისტური მთავრობის შურისძიება

ვარშავა, 14 მარტი. 135 ხმის უმრავლესობით 121 ხმის წინააღმდეგ სეიმმა დაადგინა—ჩამოართვას დეპუტატს ხელშეუხებლობის უფლება კომუნისტ დეპუტატებს ბარსკის და ბიტნერს და სოფლის მეურნეობის მუშაკთა გაერთიანებული კავშირის დეპუტატს ვალნიცკის. თავის დროზე სეიმის კომისიამ უარი განაცხადა— ხელშეუხებლობის უფლება ჩამოერთმია ამ დეპუტატებისათვის რადგან ის ბრალდება, რომელიც მათ წაუყენეს, საყურადღებოდ არ ჩასთვალა. იმის წინააღმდეგ, რომ ბარსკი, ბიტნერი და ვალნიცკი სასამართლოს გადაეცემინენ, გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი სიპულა.

„ფაშისტური მთავრობა,—განაცხადა მან,—შურს იძიებს მუშათა და გლეხთა მასებზე, რაც უნდა სასამართლოს გადაეცეს ზოგიერთი დეპუტატები. ასე გადაეცა სასამართლოს ლანცუცკი, სოხაცკი, ბაჩინსკი და მუშა და გლეხთა ბევრი სხვა წარმომადგენელი. ფაშისტურ მთავრობას, როცა იგი ბიტნერის გადაცემას მოითხოვს, სურს შური იძიოს ლოძის მუშების რევოლიუციონური გამოსვლისათვის, იმ მუშების, რომელთა წარმომადგენელიც ბიტნერი იყო.

ბიტნერის გარდა, სეიმს განზრახვა აქვს სასამართლოს გადასცეს ბარსკი, რევოლიუციის უძველესი მოღვაწე, რომელიც 40 წლის განმავლობაში სათავეში ედგა მუშათა მოძრაობას პოლონეთში, ადამიანი, რომელიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა როზა ლუქსემბურგთან, კარლ ლიბკნეხტთან, ტიშკოსთან და ძერჟინსკისთან, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასს. კომუნისტური დეპუტატების დევნა ვერ შეაჩერებს რევოლიუციონური მასების აქტივობის ზრდას პოლონეთში“.

დადგენილება დეპუტატების გადაცემის შესახებ მიღებულ იქნა უმნიშვნელო (14 ხმის) უმრავლესობით. ის უმრავლესობა აიხსნება იმით რომ კენჭის ყრას არ დაესწრნენ „ვიზვოლენიე“-ს დეპუტატები და პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატთა საგრძნობი ნაწილი.

ამის გამო სიპულამ თავის სიტყვაში განაცხადა:

„როდესაც უნდათ სასამართლოს გადასცენ კომუნისტი დეპუტატები, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები, რომელნიც თავიანთ თავს დემოკრატიის დამცველებს ეძახიან, სცდილობენ კენჭის ყრას არ დაესწრონ, ისინი ბუფეტში იმალებიან“.

როდესაც კენჭის ყრის შედეგები გამოაცხადეს, კომუნისტ დეპუტატებმა და ბელორუსიის და უკრაინის დეპუტატების რევოლიუციონურმა ნაწილმა პროტესტი განაცხადეს. ისმოდა ხმები: „მუშები მოგაგონებენ თქვენ დღევანდელ დღეს“. „თქვენ შურს იძიებთ ლოძის გაფიცვისათვის“. „ძირს ფაშისტური მთავრობა“.

იმავე სხდომაზე კენჭი უყარეს საკითხს იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადაეცეს „ვიზვოლენიე“-ს ორი დეპუტატი. პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და „ვიზვოლენიე“-ს დეპუტატები დაბრუნდნენ და აღმოჩნდა უმრავლესობა, რომელმაც უარჰყო წინადადება „ვიზვოლენიე“-ს დეპუტატების გადაცემის შესახებ (ადს).

საალყო წესები სამხრეთ-ბესარაბიაში

ვენა, 14 მარტი. როგორც ბესარაბიის გაზეთები იუწყებიან, რუმინეთის ხელისუფლებამ საალყო წესები გაავრცელა სამხრეთ ბესარაბიაზე იზმაილიდან [illegible] და [illegible]. ე. ი. საალყო წესები სამხრეთ ბესარაბიაში აღადგინეს ყველგან სადაც ეს წესები წინად იყო შემოღებული. რუმინეთის სამხედრო წრეები ამას ასაბუთებენ იმით, რომ შიმშილის ნიადაგზე ახალი აჯანყება მოხდესო.

გაზეთების ცნობით დაიხურა კიშინევის მუშურ-გლეხური ორგანო „პრავდა“.

უკანასკნელ დღეებში ბესარაბიაში დააპატიმრეს რამდენიმე ასი კაცი. გაზეთი „ადევერულ“-ი კმაყოფილებას გამოსთქვამს კომუნისტურ მოძრაობასთან ბრძოლის იმ მკაცრი მეთოდების გამო, რომლებსაც მიმართა მთავრობამ; გაზეთი მოითხოვს უფრო სასტიკი ზომების მიღებას რათა საბოლოოდ „მოიშორონ“ კომუნისტური აგიტატორები (ადს).

ინგლისელი მუშები აღშფოთებულნი არიან ტროცკის გამოსვლით

კიევი, 15 მარტი. ჩამოვიდა ორი ინგლისელი მელითონე-მუშა, რომელნიც მოწვეულნი არიან ლითონის ერთ-ერთ ქარხანაში სამუშაოდ. ძველმა მელითონემ, ინგლისის მუშათა კავშირის წევრმა რეიფორმა ინგლისის ბურჟუაზიულ პრესაში ტროცკის უკანასკნელი გამოსვლის გამო განაცხადა:

„მეტად დამახასიათებელია, რომ ის ხალხი, რომელსაც პირადად ვიცნობ, როგორც ბოლშევიკების დაუძინებელ მტრებს, ეხლა აქებს ტროცკის. ტროცკის გამოსვლამ გულწრფელი აღშფოთება გამოიწვია ინგლისის მოწინავე მუშებში. ჩვენ ენერგიულად შევებრძოლებით ცილისწამებას, რომელსაც ტროცკი ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ“ (ადს).

რუმინეთმა დაამტკიცა კელოგის პაქტი

მოსკოვი, 15 მარტი. პოლონეთის ელჩმა მოსკოვში პატაკმა ნოტით აცნობა საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოვალეობის დროებით აღმასრულებელს ამხ. ლიტვინოვს, რომ რუმინეთის მთავრობამ 17 თებერვალს დაამტკიცა პარიზის ხელშეკრულება ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ (ადს).

ლიკვიდატორებს მასების ეშინიათ

პრაღა, 14 მარტი. რევოლიუციონურ პროფკავშირთა გაერთიანების ლიკვიდატორულმა ელემენტებმა სიყალბის საშუალებით ხელთ ჩაიგდეს გაერთიანების აპარატი და შენობები. პროფკავშირთა გაერთიანების აპარატს და შენობებს ისინი იყენებენ ლიკვიდატორული მიზნებისათვის და სცდილობენ გააუქმონ რევოლიუციონურ პროფკავშირთა ყრილობა. პრაღის პროფმუშაკები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პროფკავშირთა რევოლიუციონურ ხაზს, ეწინააღმდეგებიან გაერთიანების წინანდელი ხელმძღვანელობის და ილაშქრებენ ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან პროფინტერნის დირექტივების შესრულებას (ადს).

მუშათა მოძრაობის დევნა ლატვიაში

რიგა, 14 მარტი. მთავრობის კოალიციის ხმებით სეიმმა მიიღო სეიმის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ძალიან ზღუდავენ დეპუტატის უფლებებს. წინად ორატორის სიტყვის შეზღუდვისთვის, ორატორთა სიის დახურვისათვის და კამათის შეწყვეტისთვის საჭირო იყო ხმების ორი მესამედი, ახალი რეგლამენტით საკმაოა უბრალო უმრავლესობა. თავმჯდომარეს უფლება ეძლევა შენიშვნა მისცეს ან სიტყვა წაართვას ორატორს, თუ იგი „არსებითად“ არ ლაპარაკობს.

მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანო „დარბს უნდ მაიზე“, აღნიშნავს რა იმას, რომ მთავრობის კოალიციას არასოდეს არ შეეძლო შეეკრიბა სეიმში ხმების ორი მესამედი, სწერს:

„სეიმის რეგლამენტის შეცვლა ნიშნავს ლატვიის პარლამენტში რეაქციონური ბურჟუაზიის სრული დიქტატურის დამყარებას. დღემდე ბურჟუაზია აბათილებდა მშრომელთა ეგრედწოდებულ დემოკრატიულ უფლებებს სეიმს გარედ. ამჟამად კი შეცვლილი რეგლამენტის წყალობით მუშათა კლასს სეიმშიაც არ აძლევენ გასაქანს“ (ადს).

ჰუვერი ჩან-კაი-შის „მეგობრულ გრძნობებს“ უცხადებს

შანხაი, 14 მარტი. პრეზიდენტმა ჰუვერმა ჩან-კაი-შის უპასუხა იმ მისასალმებელ დეპეშაზე, რომელიც მან გაუგზავნა ჰუვერს ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობის დაჭერის გამო. ჰუვერი საუკეთესო სურვილებს უცხადებს ჩინეთის ხალხსა და მთავრობას და ამბობს, რომ სანამ ის ხელისუფლების საჭესთან იდგება, ხელს შეუწყობს ჩინეთისა და შეერთებული შტატების მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ორლოვის საქმის გარშემო

საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია ყალბი დოკუმენტების დამზადების საქმის გამორკვევით

ბერლინი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ბერლინში მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ისეთივე განცხადებით, როგორითაც მან ამას წინედ მიმართა ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკამ, ე. ი. განცხადებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია დაწვრილებით გამოიკვლიოს ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაციის საქმე (ადს).

უცხოელთა წინადადებანი კომუნალურ კონცესიების შესახებ

მოსკოვი, 15 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კონცესიების მთავარ კომიტეტში აცნობეს, რომ საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებამ კომუნალური კონცესიების გაცემის დამტკიცების შესახებ ძალიან დააინტერესა უცხოეთის ის ფირმები, რომლებიც მეურნეობის ამ დარგში მუშაობენ. ყველაზე მეტი წინადადება კონცესიების შესახებ მოვიდა ამერიკიდან, შემდეგ გერმანიიდან, საფრანგეთიდან, შვეციიდან, ავსტრიიდან და ნორვეგიიდან. ბელგიის კაპიტალი საკონცესიო წინადადებებს გზავნის საფრანგეთისა და გერმანიის ფირმების საშუალებით. მიღებულია ცნობები, რომ ინგლისის კაპიტალიც დიდ ინტერესს იჩენს კომუნალურ კონცესიებისადმი საბჭოთა კავშირში. საკონცესიო წინადადებებს იძლევიან ფინანსიურად და ტეხნიკურად მეტად სერიოზული ფირმები. კონცესიების მაძიებელნი დაკავშირებულნი არიან უდიდეს ამერიკულ და ევროპიულ ბანკებთან, რომელთა ნაწილმა უკვე თანხმობა განაცხადა —მიაწოდოს ფინანსები ამ კონცესიებს. არსებულ წინადადებათა მიხედვით, საბჭოთა კავშირის კომუნალურ მეურნეობაში პირველად დაბანდებული იქნება უცხოეთის კაპიტალიდან დაახლოებით 100 მილიონი დოლარი. ზოგიერთი ფირმები მოლაპარაკებას აწარმოებენ მოსკოვში, დანარჩენები საზღვარგარეთ, ჩვენს საკონცესიო კომისიებთან. (ადს).

კატასტროფა „მარია“-ს მაღაროში

არტემოვსკი, 15 მარტი. გორლოვკაში, „მარია“-ს მაღაროში მეორე წყების ჩაშვების დროს ჩამოწყდა ჩასაშვები კალათა მასში მყოფი მემაღაროებით და გაიჭრა ჭაში. დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქნა გორლოვკის დამხმარე რაზმები და მაღაროს მუშები რომელთაც ჭაში დახვდათ მხოლოდ ორი ცოცხალი მემაღარო. დაიღუპა 27 კაცი.

კატასტროფის მიზეზებს იკვლევს მთავრობის მიერ სპეციალურად დანიშნული კომისია „მარია“-ს მაღაროში მუშაობა შესწყვეტა ერთი თვით. სწარმოებს სასწრაფო რემონტი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის განკარგულებით დააპატიმრეს დამნაშავენი: ასაწევი მანქანის გამგე, ზინკლები და მანტიორი. მათ ჯერ-ჯერობით ბრალდებათ დაუდევრობა სამსახურის დროს.

12 მარტს მოხდა კატასტროფის მსხვერპლთა დაკრძალვა, რომელმაც მიიღო მემაღაროეთა გრანდიოზული დემონსტრაციის ხასიათი.

საერთო საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს მუშებმა, რომელთაც განაცხადეს რომ 27 ამხანაგის ტრაგიკული დაღუპვა სამეურნეო ფრონტის მოწინავე ხაზზე, ისე, როგორც დანაკლისი სამოქალაქო ომის დროს, არ შეასუსტებს, არამედ უფრო მეტად შეამჭიდროვებს მემაღაროების რიგებს სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

საოლქო დამზღვევმა სალარომ დაღუპულთა ოჯახებს მისცა პენსიები ერთი თვით ადრე; ხოლო მაღაროების სამმართველომ კოლხელშეკრულების თანახმად. მათ დახმარება აღმოუჩინა ორი თვის ხელფასის რაოდენობით. დაზღვეული მუშების ექვსმა ოჯახმა შრომის სახალხო კომისარიატიდან მიიღო 3.500 მანეთი. შრომის სახალხო კომისარიატმა გაგზავნა 3.000 მანეთი დაღუპულთა ოჯახების მცირეწლოვან წევრებისათვის დახმარების გასაწევად.

„მარია“-ს მაღაროს რემონტის გამო, მუშებს მიეცათ სატარიფო შეღავათი.

ამხ. გოლი „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის შესახებ

ხარკოვი, 15 მარტი. შრომის სახალხო კომისარმა ამხ. გოლმა კატასტროფის შესახებ განაცხადა:

„გრძელდება გამოძიება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ექსპერტები და პროფესორები დინიხი, მაკაროვი და ფეოდოროვი. გაიცა ბრძანება სამი დამნაშავის დაპატიმრების შესახებ. მაღაროდან ამოყვანილი დაჭრილი მემაღაროები მალე გამომრთელდებიან. დაღუპულთა ოჯახებს მიეცათ ერთდროული დახმარება, პენსიები და დასამარხი ფული.

გარდა ამისა, უკრაინის სახ. კომისართა საბჭომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გასცა 3.000 მანეთი დაღუპულთა ოჯახებისათვის დასარიგებლად. მუშაობის დროებითი შეწყვეტის გამო, მაღაროს ყველა მუშას მიეცა სატარიფო შეღავათი. მიღებულია სასწრაფო ზომები შეღავათებში წასული მუშების გასაგზავნად სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. სვიატოგორსკის დასასვენებელ სახლში „მარია“-ს მაღაროს მუშებს დამატებით ეძლევათ 350 ადგილი, ხოლო კისლოვოდსკში მიეცემათ 485 ადგილი.

სრულიად უკრაინის სამთამადნო მუშაკთა კავშირმა დაადგინა—მისცეს სხვადასხვა შეღავათი კატასტროფის დროს დაღუპულთა ოჯახებს. გადაწყდა დაღუპულ მემაღაროეთა ოჯახების უზრუნველყოფა უფასო ბინით, წყლით, განათებით და გათბობით“.

დახმარება დაღუპულ მემაღაროეთა ოჯახებს

არტემოვსკი, 15 მარტი. დაღუპულთა ოჯახებს მიეცათ პენსიები ერთი თვით ადრე. მაღაროების სამმართველომ დაღუპულთა ოჯახებს მისცა ორი თვის ხელფასის რაოდენობით. 6 დაზღვეული მუშის ოჯახმა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოდან მიიღო 3.500 მანეთი. დაღუპულთა ოჯახების შრომის უნარის მქონე წევრები სამუშაოზე იგზავნებიან რიგს გარეშე. დაღუპულ მემაღაროეთა ბავშვები განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულისაგან.

მაღაროს რემონტზე იმუშავებს 500 მუშა.

საოლქო კომიტეტის წერილი მემაღაროებს

არტემოვსკი, 15 მარტი. საოლქო კომიტეტმა მემაღაროებს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარებენ კატასტროფის მიზეზების გამორკვევას. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. ყოველი შეგნებული მუშის მოვალეობაა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ბნელ და მიტმასნილ ელემენტების შესაძლო ცდებს—გამოიყენონ კატასტროფა დანაშაულებრივი აგიტაციისათვის საბჭოთა სპეციალისტების წინააღმდეგ. 27 პროლეტარის დაღუპვა მძიმე დანაკლისია, მაგრამ ამას უნდა ვუპასუხოთ მუშაობის გაძლიერებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში“.

წერილმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მუშათა მასებს შორის და მიღებულია ზომები ქვა-ნახშირის ამოღების პროგრამის შესასრულებლად (ადს).

კატასტროფის გამომკვლევი კომისია

მოსკოვი, 15 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა დაინიშნოს სპეციალური კომისია ამხ. უგლანოვის, ლებედის და შვარცის შემადგენლობით „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად. დაევალოს კომისიას—დაუყოვნებლივ გაემგზავროს კატასტროფის ადგილზე და გამოძიების შედეგები აცნობოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს (ადს).

ამხ. ტოლსტოპიატოვი „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის შესახებ

მოსკოვი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ ტოლსტოპიატოვმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს „მარია“-ს მაღაროში მომხდარი კატასტროფის შესახებ განაცხადა:

„4 მარტს დილით, როგორც კი მივიღეთ ცნობა ხარკოვიდან, შრომის სახალხო კომისარიატმა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსა და სამთამადნო მუშების ცეკასთან შეთანხმებით კატასტროფის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიაში გაგზავნა შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. სირინი და სამთო ინჟენერი ამხ. ბილენკო. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები ყოველ ორ დღეში გვაწვდიდნენ ტელეგრაფით ცნობას გამოკვლევის მსვლელობის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ კატასტროფის მიზეზი იყო შემდეგი: ბაგირის (რკინის ჯაჭვი) ღარში მოჰყვა ხის კირკიტა, რის გამოც ბაგირი ამოვარდა ღარიდან და გაწყდა. ამის შემდეგ ორივე ჩასაშვები კალათა ჩავარდა მაღაროს ჭაში. მარცხენა კალათა რომელშიაც მუშები იყვნენ, ჭაში გაიჭრა 162 საჟენის სიღრმეზე. მარჯვენა კალათა რომელიც ცარიელი იყო, ჩავარდა დაბლა. მარცხენა კალათაში იყო 29 მუშა მათ შორის 2 დაჭრილი აღმოჩნდა, ხოლო 27 მკვდარი. მკვდრები მთლად დასახიჩრებულნი არიან. ამჟამად კატასტროფის ადგილას მუშაობს საექსპერტო კომისიაც. სწარმოებს ძებნა-ძიება დამნაშავეთა აღმოსაჩენად. დაპატიმრებულია ორი. მაღაროს ჭა საგრძნობლად დაზიანდა და მისი შეკეთებისათვის საჭიროა ერთი თვე მაინც. ამ ხნის განმავლობაში მაღაროს 1.200 მუშა შეღავათებში გავა“.

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა უკრაინის შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით სვიატოგორსკში მოაწყო დასასვენებელი სახლი 350 ადგილით, ხოლო კისლოვოდსკში—480 ადგილით. დაღუპულთა ოჯახები ადგილობრივი ორგანოების დადგენილებით მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან.

გუშინ უბედურების ადგილზე გაემგზავრა შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისია ამხ. უგლანოვის ხელმძღვანელობით. კომისიის მიზანია უფრო დეტალურად გაიგოს კატასტროფის მიზეზები და პირობები (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჯონსონი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ნიუ-იორკი, 15 მარტი. „ნიუ-იორკ ამერიკენში“ დაბეჭდილია საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ცნობილი ეკონომისტის ჯონსონის წერილი, რომელიც შეეხება ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს. ჯონსონი სხვათა შორის ამბობს: „მსოფლიო სამეურნეო მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ორივე ქვეყნის ურთიერთობის განახლებას. ჩვენ გვჭირდება უცხოეთის ფართო გასაღებელი ბაზრები; საბჭოთა კავშირი შეიძლება გადაიქცეს უდიდეს ბაზრად მათ შორის. შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხები გაბუნდოვანებულია პროპაგანდისა და ფალსიფიკაციის წყალობით. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ვალების საკითხი განხილული არ უნდა იყოს, ვინაიდან ვალების გაბათილება ვერაფრით ვერ გამართლდება. მაგრამ ჩვენი მოქმედებაც საბჭოთა კავშირის მიმართ ვერ გამართლდება. ომი არ გამოგვიცხადებია და მაინც ვებრძოდით საბჭოთა მთავრობას ორ ფრონტზე (არხანგელსკსა და ციმბირში)“ ჯონსონი აღნიშნავს, რომ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების მონაწილეობა ინტერვენციაში კანონიერ საბუთს აძლევს საბჭოთა კავშირს—მოსთხოვოს ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებს ინტერვენციით მიყენებული ზარალის სათანადო ნაწილის ანაზღაურება. შემდეგ ჯონსონი დასცინის ჩვეულებრივ ლაპარაკს „კომინტერნის აგენტების“ მოქმედების შესახებ. აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ მიმართული საბუთების უსაფუძვლობას და დასასრულ წინადადებას იძლევა, რომ შეერთებულმა შტატებმა იკისრონ საბჭოთა კავშირისა და შეერთ. შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის თაოსნობა ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხის განსახილველად. (ადს).

მუშათა ახალი მემარცხენე გაზეთი

ბერლინი, 15 მარტი. დღეს ბერლინში გამოვიდა მუშათა ახალი მემარცხენე გაზეთის „ველტ ამ მორგენის“ პირველი ნომერი. ახალი გაზეთის თანამშრომელთა შორის არიან მეცნიერები, ლიტერატურის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის — ეინშტეინი, არტურ ჰოლიჩერი, პროფესორი გოლდშმიტი, ბარბიუსი, მხატვარი გროსი, საბჭოთა კინო-რეჟისორები ეიზენშტეინი და პუდოვკინი (ადს).

სიტყვა სხვაა — საქმე სხვაა..,

პარიზი, 14 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „262 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 28 ხმისა სენატმა დაადგინა დაჩქარებულ იქნას გემთმშენებლობის პროგრამის მეორე ნაწილის განხორციელება. 30 ივნისისათვის სათანადო ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ ერთი კრეისერის, 6 კონტრნალმოსნის, 7 წყალქვეშა ნავის და 2 სხვა გემის აგებას.

სენატორი ბორა „ეკონომიური ბოიკოტი“-ს წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 15 მარტი. სენატორმა ბორამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მკაცრად გაილაშქრა „თავდამსხმელი სახელმწიფოს ეკონომიური ბოიკოტის“ პროექტების წინააღმდეგ. ბორამ, სხვათა შორის, სთქვა: „ეს ბოიკოტი სასარგებლოა მხოლოდ მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რადგან მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ უფრო სუსტი სახელმწიფოების წინააღმდეგ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ერთა ლიგამ ბოიკოტი განახორციელოს ინგლისის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იაპონიის ან იტალიის წინააღმდეგ. ჩემის ფიქრით, შეერთებულ შტატებს საერთო არაფერი ექნებათ ასეთ გეგმებთან“.

სენატორი ბორას სიტყვა იმ წრეების შეხედულებას გამოხატავს, რომლებიც მოითხოვენ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის „თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“. (ადს).

კაშენის სიტყვა პარლამენტში

პარიზი, 15 მარტი. დამატებითი კრედიტების განხილვისას კაშენმა ფინანსთა მინისტრთან კამათის დროს განაცხადა: „ხაზინის კარგი მდგომარეობა აიხსნება გადასახადების სიმძიმით, რომელიც უმთავრესად მშრომელთა მასებს აწევს. მათ გაჭირვებულ მდგომარეობას კიდევ უფრო აძნელებს სიძვირის ზრდა. დამატებითი კრედიტები ადასტურებენ საფრანგეთის იმპერიალიზმის მისწრაფებათა გაძლიერებას, იგი სირიაში მილიარდებს ხარჯავს სამხედრო ოკუპაციისათვის. კომფრაქცია წინააღმდეგია სამხედრო კრედიტებისა, მოითხოვს სირიის დაუყოვნებლივ ევაკუაციას და იქიდან საფრანგეთის ადმინისტრაციის გამოყვანას“.

შემდეგ კაშენი შეეხო სამხედრო მინისტრის წინადადებას ჯარისკაცთა ულუფის გადიდების შესახებ, მოითხოვა მისი გაძლიერება დღეში 12 ფრანკამდე და ჯარისკაცთა საზრდოობაზე ჯარისკაცთა კომიტეტების კონტროლის შემოღება. დასასრულ კაშენმა კომუნისტური ფრაქციის სახელით მოითხოვა რეინის ოლქის ევაკუაცია. (ადს).

პენსია ბლოკის მეუღლეს

მოსკოვი 15 მარტი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა პოეტ ალექსანდრე ბლოკის ქვრივს დანიშნოს მუდმივი პერსონალური პენსია—150 მანეთი თვეში (ადს).

სამხრეთ ნავთსადგურებში დათბა

ოდესა, 15 მარტი. სამხრეთ ნავთსადგურებში დათბა. ოდესის ყურე ყინულისაგან გაიწმინდა (ადს).

მასწავლებელთა ახალი კადრების მოსამზადებლად

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივა

მოსკოვი, 15 მარტი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული ცეკას ძირითადი დირექტივა მასწავლებელთა მომზადების შესახებ. ამის გამო ცეკამ განათლების სახ. კომისარიატს დაავალა: განგრძობილ იქნას პედაგოგიურ სასწავლო დაწესებულებათა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და გაუმჯობესდეს სტუდენტობის სოციალური შემადგენლობა მუშათა და მოჯამაგირეთა მიღების გაძლიერების ხარჯზე, გაუმჯობესდეს პედაგოგიური, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიური დისციპლინების შესწავლის საქმის დაყენება კვალიფიციურ კომუნისტ მასწავლებელთა მიზიდვით. მიღებულ იქნას ზომები პროფესურის და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებთან დატოვებული ასპირანტების მომავალი კადრების მოსამზადებლად პედაგოგიური მეცნიერების ხაზით; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ასპირანტთა კანდიდატების სოციალურ ჩამომავლობას და პარტიულობას, გაუმჯობესდეს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების, პედ-ტეხნიკუმების და მათი იმ განყოფილებების მუშაობა, რომლებიც ამზადებენ პედაგოგებს კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებათა სკოლებისათვის.

ამასთან ერთად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს პედაგოგიური სასწავლებლების პარტიულ და კომკავშირის უჯრედების მუშაობა, სტუდენტების გამოყენება საზოგადოებრივ პარტიულ მუშაობაში და სათანადო კომუნისტური ძალების მომზადება ხელმძღვანელებად, პროფესორებად და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების და პედ-ტეხნიკუმების მასწავლებლებად. (ადს).

ბაქოს ბაზრობის გახსნა

ბაქო, 15 მარტი. ბაქოს ბაზრობა ზეიმით გაიხსნა. გახსნას დაესწრო ბევრი სპარსელი ვაჭარი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბაზრობაში და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

საპატიო სტუმართა შორის იყვნენ სპარსეთისა და თურქეთის გენერალური კონსულები ბაქოში.

პირველი გარიგებანი

ბაზრობას ძალიან კარგი პირი უჩანს. მოვიდა ბევრი სპარსელი ვაჭარი. ყოველდღე მოდის საქონლის დიდი პარტიები. მოსალოდნელია, რომ ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს 200-დე სპარსული ფირმა. ბამბის, ბრინჯის, ყაჯის და სხვა საქონლის დიდი პარტიებით დადებულია პირველი დიდი გარიგებანი. დიდის ინტერესით მოდიან მეტადრე სპარსელი ვაჭრები, საბჭოთა მრეწველობის ექსპონატების გამოფენებ. ამჟამად გამოფენაზე სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. გამოფენა გაერთიანებს რამდენიმე ათეულ პავილიონს, რომლებსაც შეადგენს ორი მთავარი განყოფილება: სახელმწიფო მრეწველობისა და შინამრეწველობის განყოფილებანი. დამოუკიდებელი პავილიონები და ვიტრინები ექნებათ: თამბაქოს სინდიკატს, ოდესის [illegible] კვების ტრესტს, მოსკვოშველს, ტყავეულობის სინდიკატს, შაქრის სინდიკატს; მარილის სინდიკატს და სხვ.

მთავარი ადგილი უჭირავთ ამიერ-კავკასიისა და რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელმწიფო ვაჭრობის პავილიონებს, რომლებიც წარმოადგენენ 600-დე საბჭოთა სამრეწველო ორგანიზაციებს (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობა

საუბარი გერმანიის ელჩთან საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენთან

მოსკოვი, 15 მარტი. „იზვესტია“-ს საკუთარი ლენინგრადელი კორესპონდენტი გადმოგვცემს თავის საუბარს გერმანიის ელჩთან საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენთან, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცენტრების დასათვალიერებლად და რომელიც ამ მიზნით ჩავიდა ლენინგრადში.

—იმისათვის, რომ უკეთ გავეცნო საბჭოთა კავშირს, — განაცხადა თავის საუბარში ფონ-დირკსენმა, — მე განზრახვა მაქვს შემოვიარო საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ცენტრალური რაიონები.

გერმანია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განსამტკიცებლად, **მე გერმანიის მთავრობის სრული თანხმობით განვაგრძობ იმ ხაზს, რომელსაც ატარებდა ჩემი წინამოადგილე განსვენებული ბროკდორფ რანცაუ.** გერმანიის მთავრობას წინანდებურად მტკიცედ სწამს, რომ ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და სამეურნეო კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს გულწრფელ ლტოლვას მშვიდობიანობისადმი, გერმანიის მთავრობისა და ხალხის ულრმეს თანაგრძნობას იწვევს. გერმანიის მთავრობა დახმარებას უწევს საბჭოთა მთავრობას მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში. ამასთან ერთად გერმანიაში **მეტად პოპულიარულია საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკა. ვოლგის მხარეში მცხოვრებ გერმანელების მდგომარეობა ისეთია, რომ უკეთესს ჩვენ ვერც ვისურვებთ.**

დეკრეტი საბჭოთა საკონცესიო პოლიტიკის აქტივიზაციის შესახებ და წარსული წლის დეკემბერში ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება დიდ ასპარეზს იძლევა გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიურ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებისათვის.

როგორ მიმდინარეობს შემნახველ სალაროების ორკვირეული

მოსკოვი, 15 მარტი. შემნახველ სალაროთა მთავარ სამმართველოს უფროსმა გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ შემნახველ სალაროების ორკვირეულისადმი ბევრგან ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას ვერ იჩენენ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სოფლის შესახებ. აქ კამპანია ზოგიერთ რაიონებში ჯერ-ჯერობით სრულიადაც არ დაწყებულა. საჭიროა მუშაობის გაცხოველება, სანამ კიდევ დრო ამის შესაძლებლობას იძლევა.

სოფლისა და ქალაქის რადიოფიკაციის გეგმა.

მოსკოვი, 15 მარტი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა სოფლისა და ქალაქის რადიოფიკაციის გეგმა 1929 წლისათვის. გეგმის თანახმად ორჯერ უნდა გადიდებულ იქნას რადიომიმღებ პუნქტების რაოდენობა, თვითეულ მაზრაში უნდა იყვეს თითო სანიმუშო რადიოფიკაციაქმნილი სოფელი.

მოსკოვის პრესა საქართველოს კინომრეწველობის ახალი სურათის შესახებ

მოსკოვი, 15 მარტი. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია რეცენზია საქართველოს კინომრეწველობის ახალი სურათის — „მათი სამეფო“-ს შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საქართველოს კინომრეწველობის ახალი ფილმი იძლევა მეტად მდიდარ და განსაკუთრებით საინტერესო ისტორიულ მასალას. რეცენზენტები ამასთანავე მიუთითებენ მონტაჟის უვარგისობაზე და ციტატებისა და წარწერების რიცხობრივ სიჭარბეზე.

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირი

მესამე და მეოთხე დღე

14 მარტის საღამოს სხდომა

კამათი ამხ. მ. კახიანის და ა. ყოჩიკაშვილის მოხსენებათა გარშემო

14 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მ. კახიანის და ყოჩიკაშვილის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. ცვილავა
(ქუთაისი)

იმ მიზნით, რომ რედაქციები შეცდომაში არ შეიყვანონ ცრუ კორესპონდენტებმა, ყველა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა უნდა შეადგინონ მუშგლეხკორთა სიები, რომლებიც უნდა გადაეგზავნოს ცენტრალური გაზეთების რედაქციებს. გარეშე ამისა, რედაქცია არ უნდა ბეჭდავდეს მამხილებელი ხასიათის კორესპონდენციებს. ქუთაისიდან გაწერილი იყო ბიუროკრატობისათვის მოქ. ფოჩტარი, რომელიც უმუშევართა კოლექტივში მსახურობდა გამგედ. ფოჩტარმა ეჭვი მიიტანა ამავე დაწესებულების თანამშრომელ ბუხაიძეზე, თითქო ის იყოს კორესპონდენციის ავტორი, და შტატის შემოკლების მოტივით მოხსნა იგი სამსახურიდან. კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია ის საქმე, საჭიროდ დაინახა ამხ. ბუხაიძის აღდგენა თავის თანამდებობაზე. მაგრამ ფოჩტარს სასამართლოში აღმოუჩნდნენ „ძმა ბიჭები" და შრომის სასამართლომ კომისიის დადგენილება არ დაადასტურა. ამრიგად მუშკორი ბუხაიძე ეხლაც უმუშევარია.

ჟურნ. „ტარტაროზი" მასიური არ არის, საჭიროა ადგილებიდან გამოგზავნილი მასალების გაშუქება აღნიშნულ ჟურნალში.

ამხ. მუხერიძე
(რაჭა)

მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ მუხლისა (მუშკორების მდევნელთა შესახებ), ეს დევნა სწარმოებს როგორც ფარულ, ისე აშკარა ფორმებით, რაც ნაწილობრივად აიხსნება იმით, რომ მუშგლეხკორთა მდევნელები არ ისჯებიან. რაჭის ერთ-ერთ სოფელში „ძმურად მიიპატიჟეს" გლეხკორი მიქოსიძე და „მასპინძლებმა", რომლებიც გაწერილი იყვნენ გაზეთში, „სტუმარს" გაუმასპინძლდნენ ცემა-ტყეპით. ამის შესახებ მიქოსიძემ აცნობა ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ დამნაშავენი დღესაც არხეინად დასეირნობენ.

ამხ. ბუხაიძე
(ქუთაისი)

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს ხელმძღვანელობა ახკორთა წრეებზე ძალზე სუსტია. საჭიროა მეტი ინსტრუქტიული ხელმძღვანელობის გაწევა ახკორთა მუშაობაზე. რედაქციები მეტი სიფრთხილით უნდა ეპყრობოდნენ ისეთ კორესპონდენციებს, რომლებიც დადებითად ახასიათებენ და ხოტბას ასხამენ ამა თუ იმ მუშაკს. იყო შემთხვევა, როცა ქუთაისის ქირის ქარხნიდან შრომის გმირად გასწერეს სურათის მოთავსებით ყოფილი ბოქაული და ანტი-საბჭოთა ელემენტი—დვალი.

ამხ. ისლამ ბაიდაროვი
(ბორჩალო)

ბორჩალოს მაზრაში ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები ჯერ კიდევ ნაკლებადაა აღმოფხვრილი. მოლები, ყოფ. ბეგები და სხვ. ანტი-საბჭოთა ელემენტები ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ, რომ თავისი გავლენის ქვეშ დაიყენონ მოსახლეობა. მათ ასეთ „მოღვაწეობას" გლეხკორები ხშირად აშუქებენ გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობს ამ ელემენტების წინააღმდეგ და ზოგჯერ გლეხკორებს „წესიერებისაკენაც" მოუწოდებს (წესიერება მოლების გაგებით).

ამხ. ბეგლაროვი
(წითელი ქალაქი)

კულაკური და ანტი-საბჭოთა ელემენტები ხშირად აშკარა დევნას აწარმოებენ გლეხკორების წინააღმდეგ. მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება იქ მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდის. იმ გამომძიებელ კომისიებში, რომელსაც შენიშვნის გამო ადგენს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, უნდა შედიოდეს რედაქციის წარმომადგენელიც, რადგან მ. გ. ი. ხშირად შეცდომაში შეყავს შემთხვევითი პირებს.

ამხ. ცინაძე
(შორაპანი)

მუშგლეხკორთა წრეებთან დაარსებულ უნდა იქნეს „შენიშვნების დამცველი ბიუროები". ეს საჭიროა იმიტომ, რომ გაზეთში მოთავსებულ მამხილებელი ხასიათის შენიშვნების სისწორის გამოსაკვლევად ხშირად ადგენენ გამომკვლევ კომისიებს, რომლებსაც ზოგჯერ გამოაქვთ არა სწორი დასკვნა. რაც აიხსნება იმით, რომ მუშგლეხკორს ისინი არ დაკითხავენ ხოლმე. მუშგლეხკორი არც თვითონ აძლევს ჩვენებას, რადგანაც არ უნდა ფსევდონიმის გამომჟღავნება.

გაზეთ „ახალი სოფელი"-ს გლეხები ძალზე დაგვიანებით იღებენ, რაც ამცირებს მის მკითხველთა რიცხვს.

ამხ. სალუქვაძე
(მთ. სახელოსნო)

მთავარი სახელოსნოს სამქედლო საამქროს გამგე მუშებისადმი უხეში მოპყრობისათვის და უყაირათობისათვის რამოდენიმეჯერ იყო გაწერილი გაზეთში. მაგრამ მიუხედავად ამისა მას სამსახურიდან არ ხსნიან, რასაც „ასაბუთებენ" იმით, რომ „მის სამაგიერო კაცს ვერ იშოვნიან".

ამხ. მარგიანი
(სვანეთი)

სვანეთის ზედრს კოოპერატივებში მოკალათებული არიან სხვადასხვა ბოროტმოქმედები და ანტი-საბჭოთა ელემენტები. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ აურაცხელი წერილები იყო მოთავსებული გაზეთებში მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობენ. ამით გათამამებული ბოროტმოქმედნი იმუქრებიან გლეხკორებს. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა „პასუხისმგებელმა მუშაკმა" გლეხკორს ასე მიმართა: „მე გაწერილი ვარ გაზეთში. ეჭვი შენზე მაქვს აღებული. ეხლავე მიწერე რედაქციას, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადასწორდები". ადგილობრივი ხელისუფლება კი ყურსაც არ იბერტყავს.

თათბირის დელეგატები რაჭა-ლეჩხუმიდან
ს. კერესელიძე, ბ. კობახიძე, ლ. სირაძე, მ. ხომასურიძე, ვ. ენუქიძე და ი. კობახიძე.

მისალმებები თათბირს

ამხ. ნემერზელის სიტყვა
(წ. არმიის პოლიტსამმართველო)

სოციალისტური მშენებლობის სიძნელეები და კლასიური ბრძოლის გამწვავება გამოხატულებას პოულობს წითელ არმიაშიაც. წითელი არმია, რომელიც წარმოადგენს არა მარტო სამხედრო სკოლას, არამედ მასების პოლიტიკური გათვითცნობიერების სკოლასაც, ყოველთვის მედგრად იდგა და მომავალშიაც დადგება ლენინიზმის სადარაჯოზე. მძლავრი კომუნისტური და კომკავშირული ორგანიზაციების არსებობა წითელ არმიაში ამის საუკეთესო საწინდარია.

წითელი არმიის კიდევ უფრო განმტკიცების ინტერესი მოითხოვს მასზე პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეთაურთა შემადგენლობის პროლეტარიზაციას. მალე ჩვენ დავიწყებთ სამხედრო მეთაურთა სკოლებში ახალი მსმენელების მიღებას. იყო შემთხვევები, რომ ამ სკოლებს ეტმასნებოდნენ ჩვენთვის არა სასურველი, შემთხვევითი და უცხო ელემენტები. მუშგლეხკორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

საერთოდ კი მუშ-გლეხკორებმა ფართოდ უნდა გააშუქონ წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება.

პროლეტმწერლების სახელით თათბირს მიესალმა

ამხ. ს. ეული

„ჩვენ ერთ და იმავე მიზანს ვემსახურებით, აღნიშნა ამხ. ეულმა,—ამ მიზნისათვის ვხმარობთ ერთსა და იმავე იარაღს—კალამს. ისევე, როგორც მუშკორთა მოძრაობა, თანდათან ვითარდება პროლეტარული მწერლობაც. ამ ზრდას, ალბათ ხელს შეუწყობს ის გარემოება, თუ მუშკორებიც მოკიდებენ ხელს მხატვრულ მწერლობას". ამხ. ეულმა თავისი მისალმება დააბოლოვა ლექსით „დელეგატი მამა".

მისალმებების დამთავრების შემდეგ გაგრძელდა კამათი.

ამხ. კობეშავიძე
(ტყიბული)

ადგილებიდან გამოგზავნილი წერილები დაგვიანებით იბეჭდება, რაც მუშგლეხკორს უკარგავს მუშაობის ხალისს.

ამხ. აბაშიძე

ქალთა სიმცირე მუშგლეხკორთა რიგებში აიხსნება იმით, რომ მამაკაცები ხშირად ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ საქმეში ქალების ჩაბმას. ქალისადმი ასეთ დამოკიდებულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამხ. ბუაჩიძე

ზოგიერთი რედკოლეგიები ააშკარავებენ ავტორის ვინაობას, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე მუშგლეხკორის დევნა. ამიტომ სარედაქციო კოლეგიების არჩევნების დროს მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ამხ. ბეჟანავა
(აჭარისტანი)

პარტიული ხელმძღვანელობა მუშგლეხკორთა მოძრაობაზე მოისუსტებს. ჩვენი საკითხები პარტორგანიზაციებში იშვიათად ისმება.

გაზეთ „ფუხარაში" რამდენიმე წერილი იყო მოთავსებული ქობულეთის შვიდწლედში არსებულ დეფექტების შესახებ, ამავე გაზეთში და სხვა გაზეთებშიაც გაწერილი იქნა აგრეთვე ქობულეთის სადგურის უფროსის კობეშავიძის დაუშვებელი საქციელი, მაგრამ ეს შენიშვნები უშედეგო აღმოჩნდა. შვიდწლედში შექმნილ მდგომარეობის გამოსწორებისათვის არავინ შეიწუხა თავი, ხოლო სადგურის უფროსი კობეშავიძე მართალია მოხსნეს ამ თანამდებობიდან, მაგრამ სხვა უფრო კარგ თანამდებობაზე გადაიყვანეს.

ამხ. ბარამიძე
(აჭარისტანი)

ამ რამოდენიმე ხნის წინად გაზეთში გაწერილი იყო სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების თანამშრომელი. მუშკორი აღნიშნავდა ამ თანამშრომლის დაუშვებელ საქციელს.

გაზეთში გაწერილმა პირმა შეადგინა „ძმაბიჭური" კომისია, რომლის „გამოკვლევის" დასკვნაც გადაეგზავნა რედაქციას, რედაქციამ კი ეს „დასკვნა" დაბეჭდა, რომ ასეთი მოვლენა არ განმეორდეს ამისთვის საჭიროა მუშკორის შენიშვნის შემოწმების დროს კომისიაში შედიოდეს რედაქციის, ან მუშკორთა წარმომადგენელი.

ამხ. ფულარია
(ზუგდიდი)

რედაქციებმა არ უნდა გაუშვან იმ პირთა წერილები რომლებიც სცხოვრობენ ქალაქში და სწერენ სოფლის ცხოვრებაზე, რადგან ეს წერილი აშენებული იქნება მხოლოდ ხმებზე. ამას წინეთ ასეთმა „მუშკორმა" ტყუილ-უბრალოდ გასწირა ხობის თემის გლეხური ახალგაზრდობის სკოლის გამგე.

ამხ. მგალობლიშვილი
(ფოთი)

წარსულ ხანებში ფოთში ჩამოვიდა კ. პ. (ბ) ცეკას ინსტრუქტორი ამხ. გიორგაძე, რომელმაც მოიწვია კრება. ამ კრებაზე კრიტიკით გამოვიდნენ როგორც მუშკორები, ისე სხვა დამსწრენი. მეორე დღეს ამხ. გიორგაძემ დასვა საკითხი კრიტიკით გამოსულ 5 კაცის სამსახურიდან მოხსნის შესახებ. მის მიერ მოხსნილი გაზეთ „მუშა"-ს კორესპონდენტი ეხლაც უმუშევრად დადის, რამაც ცუდი გავლენა იქონია მუშკორებზე.

ამხ. მამედ-ლი
(ახალციხის მაზრა)

თურქულ გაზეთ „ენიკენდ"-ში მოთავსებულ შენიშვნებს პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა. გაზეთ „ენიკენდ"-ი გამოდის კვირაში ერთხელ. საჭიროა რომ აღნიშნული გაზეთი გამოდიოდეს კვირაში ორხელ მაინც.

ამით დამთავრდა თათბირის საღამოს სხდომა.

მოჯამაგირე კორესპონდენტთა ჯგუფი
სხედან: ზამანოვი (ბორჯომი), ბერიაშვილი (წნორის-წყალი) და ჯალიაშვილი.
სდგანან: ჩონიაშვილი (სკრა), გაიდაროვი (ახალციხე), კანდელაკი (მარტყოფი).

15 მარტის დილის სხდომა

მეოთხე დღის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. ყოჩიკაშვილის და კახიანის მოხსენებათა გარშემო. ამ სხდომაზე კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: ბუაძე, გაჩეჩილაძე, სიხარულიძე, ბერიონი, ქადაგიშვილი (ქალი), წერეთელი და ლამბაშიძე.

ამხ. ბუაძე
(სამტრედია)

მუშგლეხკორებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თანამშრომლობას კედლის გაზეთებში, ვიდრე ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, რადგან ამ გზით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ თავის საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის. რედკოლეგიის შერჩევა უნდა ხდებოდეს პარტუჯრედთან შეთანხმებით. მუშკორთა აღრიცხვაც უნდა ჩატარდეს პარტიის ხელმძღვანელობით. ამავე დროს დაცული უნდა იქნეს მუშკორთა ვინაობის საიდუმლოება. ბეჭდვითი გაზეთების რედაქციები თავის ფოსტის საშუალებით უნდა გვატყობინებდნენ, თუ რა მიზეზით არ მიდის წერილი.

ამხ. გაჩეჩილაძე
(გურჯაანი)

მუშგლეხკორთა მიერ აღნიშნული ფაქტების გამოსარკვევად უნდა ინიშნებოდეს კომისია — პარტიის, პროფესიონალურ ორგანიზაციის, მ.-გ. ინსპექციის და დაინტერესებულ დაწესებულების წარმომადგენლების შემადგენლობით. კედლის გაზეთებს ადგილებზე არ ჰყავთ ხელმძღვანელები და დამცველნი, რასაც მოწმობს შემდეგი ფაქტი. ჩვენ რაიონში „შეურაცყოფილმა" პირებმა ჩამოგლიჯეს კედლის გაზეთი. მივმართეთ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და პოლიტბიუროს, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქციეს.

ამხ. სიხარულიძე
(ახკორი, ოზურგეთი)

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტს" ჩვენს მაზრაში აღრიცხული არ ჰყავს თავის ახკორები და იგი არც ხელმძღვანელობას უწევს მათ. მუშგლეხკორებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის სამკითხველოებს და თავის წერილებით გავლენა მოახდინონ პოლიტგანათლების ორგანოებზე, რათა მათ გაუდიდონ თანხები სოფლის სამკითხველოებს იმდენად მაინც, რომ სამკითხველომ ერთი ჯამაგირიანი მუშაკი მაინც დაიქირაოს.

გლეხკორებმა ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, რისთვისაც პირველ ყოვლისა თვით ისინი უნდა ჩაებან კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

ამხ. ბერიონი
(რკინის გზა, თბილისი)

თუ რამდენად ნაკლები ყურადღება ექცევა მუშკორთა წერილებს, მოწმობს შემდეგი ციფრები: რკინის გზის შესახებ თბილისის გაზეთებში მოთავსებული ყოფილა 1892 შენიშვნა; რკინის გზის სამმართველო გამოხმაურებია მხოლოდ 318-ს. რედაქციებმა არა მარტო უნდა მოათავსონ წერილები, არამედ იმაზედაც უნდა იზრუნონ, რომ ამ წერილების გამოქვეყნებას პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს.

გარდა ამისა, დაწესებულება - საწარმოოს ადმინისტრაცია პასუხის გაცემას აგვიანებს. კედლის გაზეთების ტექნიკური და მხატვრული მხარის გასაუმჯობესებლად დაარსებულ უნდა იქნეს სამხატვრო სახელოსნო, რომელიც მოამზადებს მუშგლეხკორებს კედლის გაზეთებში ამ საქმის დასაყენებლად.

ამხ. ქადაგიშვილი
(კახეთის მაზრა)

გაზეთებს არა აქვთ ცოცხალი კავშირი ადგილებთან. ჩვენს რაიონში 4—5 წელიწადია გამოდის კედლის გაზეთები, მაგრამ ერთხელაც არავინ მოსულა, რომ დარიგება მოეცა. ამის გამო კედლის გაზეთები როგორც შინაარსის მხრივ, ისე ტექნიკურად ძალიან ჩამორჩენილია. აუცილებლად საჭიროა რედაქციებმა გამოგვიგზავნონ ინსტრუქტორი, რომელიც მოაწყობს რაიონში გლეხკორთა თათბირებს და მოგვცემს დარიგებას კედლის გაზეთების წარმოების შესახებ.

ამხ. წერეთელი
(ლანჩხუთი)

პარტუჯრედები არა თუ ხელმძღვანელობენ გლეხკორებს და კედლის გაზეთებს, არამედ ზოგ შემთხვევაში სდევნიან მათ, რადგან ვერ ითმენენ კრიტიკას. ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი — მუშკორი, რომელმაც კოოპერაციის გამგის წინააღმდეგ წერილი მოათავსა; პარტიიდან გარიცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ წაყენებული ბრალდება სათანადო გამოკვლევის შემდეგ დადასტურდა. ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ ინსპექციის ფურცელს გაზეთები კვირაში ორჯერ უშვებდნენ, რომ ამით მუშგლეხკორებს ამ ფურცელში თანამშრომლობის მეტი საშუალება მიეცეს.

ამხ. ლამბაშიძე
(შორაპნის მაზრა)

მუშგლეხკორებში სუსტია დისციპლინა და თავის მოვალეობის შეგნება. ამით აიხსნება, რომ ცრუ კორესპონდენტები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენენ. მუშგლეხკორთა გახშირებული დევნის ერთ-ერთი მიზეზი უდისციპლინობა და ყოყოჩობაა. ზოგი გლეხკორი საჯაროდ ყოყოჩობს — გავწერე თუ არა გაზეთშიო. ამით ააშკარავებს თავის ფსევდონიმს და თავის წინააღმდეგ იმხედრებს მას, ვის შესახებაც სწერს.

ამხ. ლამბაშიძის სიტყვის შემდეგ კამათი შეწყდა და საბოლოო სიტყვა მიეცა ამხ. მ. კახიანს.

ამავე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ქუთაისის მუშკორთა ერთი ჯგუფის მისასალმებელი დეპეშა და თბილისის აგურ-კრამიტის ქარხნების მუშების წერილობითი მისალმება.

დელეგატების ჯგუფი
სდგანან: (მარცხნიდან მარჯვნივ) ქართსანიძე აკაკი, ნიკ. ჯიბლაძე (სამხკორი ბათომიდან) და კ. ჯიმშელეიშვილი (მუშკორი რიონჰესიდან).
სხედან: დ. ასათიანი (სამხკორი ქუთაისიდან), ნ. კუხალაშვილი (მუშკორი ხონიდან) და ილ. ფალავა (მუშკორი ხონიდან).

ამხ. კახიანის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. კახიანი პასუხს აძლევს მიცემულ შეკითხვებზე და ჩერდება იმ საკითხებზე, რომელთაც მოხსენებაში არ შეხებია.

მზადება თავდაცვისათვის

— ერთი ამხანაგი კითხულობს,—იწყებს თავის საბოლოო სიტყვას ამხ. კახიანი,—თუ რა ზომებია მიღებული ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის სამოქალაქო მოსახლეობის მზადების დარგში. ამ კითხვაზე შემდეგი პასუხის გაცემა შეიძლება:

რამდენადაც ომის საშიშროება ახლოვდება და ჩვენი მტრები ემზადებიან დაარღვიონ ის შესვენება, რომელიც დღემდე გვაქვს და რომელსაც აღმშენებლობისათვის ვიყენებთ, ქვეყნის თავდაცვის საკითხი ხდება საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ საზრუნავ საგნად. იმ კარდინალური საკითხების გადაჭრა, რომლებიც ამჟამად ხელისუფლების წინაშე სდგანან, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად, გულისხმობს პროლეტარული დიქტატურის თავდაცვის განმტკიცებასაც. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მოსავლიანობის გადიდება და სხ.—ნიშნავს ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სამხედრო უნარიანობის განმტკიცებას. თუ ჩვენ შევსძელით ჩვენი წარმოების, ჩვენი ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების იმ დონემდე აყვანა, რომ საკუთარი საშუალებებით დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის საჭიროება და უზრუნველვყოთ ჩვენი წითელი ლაშქარი, თავდაცვის საქმეს შეუქმნით მტკიცე საფუძველს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—სასოფლო მეურნეობის განვითარება არის ჩვენი უპირველესი სამხედრო ღონისძიება ქვეყნის თავდასაცავად. მაგრამ ამავე დროს ჩვენი ხელისუფლება და აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები იღებენ ზომებს, რომ ფართო მოსახლეობა მომზადებული შეხვდეს მოსალოდნელ ომს, რომ ისიც აღიჭურვოს სათანადო სამხედრო ცოდნით და მომზადებით. ამისათვის მუშაობენ სხვადასხვა წრეები, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას, ფიზკულტურის უჯრედებს, სასროლ წრეებს და სხვ.

ამავე დროს—ხელისუფლება ამაგრებს ჩვენი თავდაცვის მთავარ დასაყრდენს—წითელ არმიას, საზღვაო და საჰაერო ფლოტს, წვრთნის ჯარს სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ეს ჩვენი მზადება ნაკარნახევია შექმნილი მდგომარეობით, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტური ქვეყნების დღევანდელ დამოკიდებულებიდან ჩვენს ქვეყანასთან.

იმპერიალისტების ანტი-საბჭოთა ზრახვები

დღევანდელი ცნობებით, მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს კელოგის პაქტი. კელოგის პაქტი დაამტკიცა შვეიცარიის პარლამენტმა, ბელგიის დეპუტატთა პალატამ, ხოლო პოლონეთმა კი რატიფიკაცია უყო მოსკოვის ოქმს. რასაკვირველია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ასეთი ნაბიჯები ჩვენ შეცდომაში ვერ შეგვიყვანს პაქტების დამტკიცება მათ სჭირიათ თავიანთი ნამდვილი ზრახვების დასაფარავად. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს დღევანდელი ცნობა, რომელიც შემდეგს გვაუწყებს—„როტე ფანე"-ში დაბეჭდილია მოხსენება გენერალ ლერონისა, რომელმაც საიდუმლო დავალებით იმოგზაურა ბალტიის სახელმწიფოებში, პოლონეთში, შუა ევროპის სახელმწიფოებში და ბალკანეთში. ლერონი მკაცრად აკრიტიკებს პოლონეთის არმიის ბრძოლის უნარიანობას, ამასთან ეს კრიტიკა გამსჭვალულია სურვილით, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური ბრძოლის უნარიანობა პოლონეთის არმიისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევისათვის. თავის მოხსენებაში ლერონი აცხადებს, რომ პოლონეთის არმიას ეხლანდელი სტრუქტურით არ შეუძლია ბრძოლა ისეთი ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც ექნება საბჭოთა წითელი არმიის, ან გერმანიის რეიხსვერის ძალა. ყოველი შეტევითი ოპერაცია, რომელსაც პოლონეთის არმია დაიწყებს საბჭოთა ტერიტორიაზე, შეიძლება სრული კატასტროფით დასრულდეს".

აქ უკვე აშკარაა, თუ რა მიზნებს ისახავს პოლონეთის არმია, რისთვის მოგზაურობენ იქ ლერონები. ლერონს ძალიან აწუხებს, რომ პოლონეთის ჯარი არ არის დაჯილდოვებული ისეთი ბრძოლის უნარით, როგორც წითელი არმია. მას ასეთი უნარი არასოდეს არ ექნება, რადგან არ კმარა ჯარის სამხედრო გაწვრთნა და შეიარაღება. ბურჟუაზიული პოლონეთის არმია ისე, როგორც ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების ჯარები, მოკლებულია იმას, რაც აქვს წითელ არმიას. მათ არა აქვთ იმის შეგნება, თუ რისთვის იბრძვიან. ჩვენი არმია სოციალიზმის დამცველი სამხედრო ძალაა, რომელსაც კარგად ესმის, თუ ვისთვის და რისთვის იბრძვის იგი. ჩვენი არმია მშრომელი ხალხის მიერ შექმნილია და მას ეს მშრომელი ხალხი უმაგრებს ზურგს. მოსახლეობის თანაგრძნობას, მის დახმარებას პოლონეთის მთავრობის ჯარი ვერასოდეს ვერ ეღირსება, რადგან ეს ხალხი თვით ამ მთავრობის წინააღმდეგ არის განწყობილი. იზრდება უკმაყოფილება პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ, არა მარტო მის მიერ შევიწროვებულ ეროვნულ უმცირესობათა შორის, არამედ თვით პოლონელ მოსახლეობის შორის, რასაც აშკარად გამოხატავს გლეხური პარტია „ვიზვოლენიე". პოლონეთის მთავრობა მუდამ იმის მოლოდინშია, თუ სად იფეთქებს შევიწროებულ მუშათა და გლეხთა მასების აჯანყება.

ფართო მშრომელთა ფენების მიერ ზურგგამაგრებული ჩვენი ჯარები ღირსეულ პასუხს გასცემენ პოლონეთის მზგავს მოწინააღმდეგეებს, თუ ისინი შეეცდებიან ჩვენი მშვიდობიანობის დარღვევას.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია

ერთ შემკითხველს აინტერესებს, ვითარდება თუ არა საქართველოში მძიმე ინდუსტრია.

როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, ისე ჩვენშიაც ვითარდება მძიმე ინდუსტრია. საინიციო მუშაობა უკვე სწარმოებს: ხუთწლიანი გეგმით ეს მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება. სხვადასხვა ქიმიური ქარხნების მოწყობა, ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება, ტყიბულის მაღაროების სამუშაოების რეკონსტრუქცია—აი მძიმე ინდუსტრიის დარგები, სადაც უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ამ მოკლე ხანში დაიწყება ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საბადოების დამუშავება. ამას უნდა დაუმატოთ კიდევ დიდი მასშტაბით წარმოებული ელექტრო-მშენებლობა, რასაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რათა განვახორციელოთ ლენინის ანდერძი:—გამოვიყენოთ წყლის ენერგია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას მრეწველობის განვითარებას ამიერ-კავკასიაში.

ერთი ამხანაგი ეჭვს გამოსთქვამს: რათ აგებთ რიონჰესს, ვერ გამოვიყენებთო. ეს შემცდარი შეხედულებაა. ჩვენი მრეწველობისათვის, რომელიც ეხლა იდგამს ფეხს, ელექტრო-ძალა აუცილებელია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ზაჰესის ენერგია გამოუყენებელი დაგვრჩებოდა, მაგრამ მალე მისი ძალა არ იკმარებს და ჩვენ იძულებული გავხდებით დავდგათ ზაჰესში ახალი ტურბინები. მთელი რიგი ქარხნები, რომლებიც ეხლა შენდება და შემდეგშიაც აშენდება, მოითხოვენ ელექტრო-მშენებლობის ჩქარ ტემპს. ჩვენ დავტვირთავთ არა მარტო ზაჰესსა და რიონჰესს, არამედ ავაგებთ კიდევ ახალ სადგურებს, რომელთაც უკვე ითვალისწინებს ჩვენი ხუთწლიანი გეგმა.

„სამკუთხედი" წარმოებაში

ჩვენ მთელი ძალები უნდა დავჭიმოთ ინდუსტრიალიზაციის გეგმის განსახორციელებლად, ახალ მშენებლობის გასაფართოებლად. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რომელიც ამჟამად უდიდესი საკითხია ჩვენთვის. ყველა პროფესიულ და პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ შრომის დისციპლინის ამაღლებას. მოხსენებაში აღვნიშნე, რომ ქარხკომები და პარტიული უჯრედები უშუალოდ არ უნდა ჩაერიონ წარმოების ადმინისტრატიულ აპარატის საქმიანობაში. ერთი დელეგატი შეკითხვას იძლევა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ზემოხსენებულმა ორგანოებმა ხელი აიღონ წარმოების სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობაზე. რასაკვირველია, აპარატში ჩაურევლობა არ გულისხმობს იმას, რომ პარტიული და პროფესიონალური ორგანოები განზე გადგნენ წარმოებას. პირიქით, მათ უნდა განაგრძონ მუშაობა წარმოების ნაყოფიერების გასადიდებლად და ამ მიზნით გააცხოველონ საწარმოო თათბირების საქმიანობა. მაგრამ ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს, ისე რომ ერთი მეორის ხელი არ შეუშალონ. ერთი მეორესთან თანამშრომლობით ყველამ უნდა ვეცადოთ ცხოვრებაში გავატაროთ საკავშირო მთავრობის დადგენილება თვითღირებულების 7 პროცენტით შემცირების და შრომის ნაყოფიერების 17 პროც. გადიდების შესახებ.

კოლმეურნეობათა მშენებლობა

ერთი ამხანაგის შეკითხვა შეეხება კოლმეურნეობათა განვითარებას: შეიძლება თუ არა კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩამორჩენილ კუთხეებში, რომელთაც საკმაო კულტურული მუშაკთა კადრი არა ჰყავსთ.

ჩვენი მიზანია, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ჩავაბათ ყველა კუთხის გლეხობა, შევიტანოთ მასში კოლექტიური მუშაობის ფორმები, თუ კი ეს შესაძლებელია. კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას ზოგან ეღობება ბუნებრივი პირობები, მაგ. მთაგორიან ადგილებში არ შეიძლება ტრაქტორის ამუშაბება ბუნებრივი პირობები, მაგ. მთაგორიან გამოყენება, კოლექტივიზაცია უფრო ნაკლებ ვითარდება.

რაც შეეხება კულტურულ მუშაკების ნაკლებობას, რომელიც კოლმშენებლობაში ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს, სოფლის უზრუნველსაყოფად ასეთი ძალებით სწარმოებს სათანადო მუშაობა. გახსნილია სხვადასხვა კურსები, რომლებიც ამზადებენ მუშაკებს სასოფლო მეურნეობისათვის. მაგრამ ჩვენ ვერ შევსძლებთ ჯერ-ჯერობით იმდენ ახალ მუშაკთა გამოშვებას, რომ სავსებით დავაკმაყოფილოთ სოფლის საჭიროება. ამ საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას უნდა დაეხმაროს სოფლის ინტელიგენცია: მასწავლებლები, აგრონომები და ყველა ის კულტურული ძალები, რომელნიც გულწრფელად მოწადინებულნი არიან ითანამშრომლონ ჩვენთან და ჩვენთან ერთად აწარმოონ მუშაობა სოფლის მეურნეობის აღორძინებლად.

ამ კულტ. ძალებში პირველი როლი უნდა ითამაშონ გლეხკორებმა, რომლებმაც სისწორით უნდა გაატარონ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი სასოფლო მუშაობაში. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ სოფლად მუშაობის დროს ჩვენ ვეყრდნობით ღარიბ გლეხობას, უკავშირდებით საშუალო გლეხობას და ვებრძვით კულაკობას. ეს ხაზი არ უნდა გამრუდდეს. მთავარი ძალა სოფლად საშუალო გლეხობაა. უნდა ვერიდოთ ყოველგვარ ღონისძიებებს, რომელნიც გლეხობის მთავარ მასაში გამოიწვევენ უკმაყოფილებას. უნდა ვებრძოლოთ სოფლად უხეშ ადმინისტრატიულ მბრძანებლობას და მტკიცედ გავატაროთ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოცემული დირექტივები, რომელთა თანახმად ჩვენ გლეხობას უნდა გაუადვილოთ მუშაობა მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად.

პურის წიგნაკების შემოღება

ბევრს აინტერესებს, თუ რამ გამოიწვია პურის წიგნაკების შემოღება. პურის წიგნაკები შემოღებულია იმ მიზნით, რომ მოვაწესრიგოთ პურის მარაგის რაციონალური განაწილება მოსახლეობის შორის. ჩვენ იძულებული ვართ, რომ დავზოგოთ პურის ის მარაგი, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება. კულაკების წინააღმდეგობის გამო ჩვენ ვერ დავამზადეთ პური იმ რაოდენობით, რომ შეგვეძლოს მისი ისე დაუზოგველად ხარჯვა, როგორც აქამდე ხდებოდა. გარდა ზემოხსენებული მიზეზისა, პურის დამზადებამ იკლო იმიტომ, რომ თვით გლეხობაში გაიზარდა პურის მოხმარება. მეფის დროს პური გაჰქონდათ, სამაგიეროდ გლეხობა სიმშილობდა. გაიზარდა აგრეთვე მცხოვრებთა რიცხვი, ე. ი. იმატა პურის ხარჯმაც. ამას ზედ დაემატა მოუსავლიანობა მთელ რიგ რაიონებში. ყველა ამ მიზეზებმა გამოიწვიეს პურის ნაკლებობა. ჩვენ ყოველგვარი ღონე უნდა მივიღოთ, რომ დაზოგვით მოვიხმაროთ ის, რაც გვაქვს. დაზოგვის ერთ-ერთ საშუალებაც წარმოადგენს პურის წიგნაკები. პურის განაწილების ასეთი წესით პურით უზრუნველყოფილი იქნება მთელი მშრომელი მოსახლეობა, რომელსაც საშუალება ექნება დაკლებულ ფასებში შეიძინოს პური, რაც შეეხება არამშრომელ ელემენტებს, მათ მიეცემათ ნახევარი გირვანქა სულზე, ხოლო დანარჩენი საჭიროება უნდა დაიკმაყოფილონ პურის შეძენით მომატებულ ფასებში. მუშგლეხკორები უნდა დაეხმარონ ჩვენს ორგანოებს ამ ღონისძიების გატარებაში.

საბჭოთა აპარატის წმენდა

ერთი ამხანაგი კითხულობს: საბჭოთა აპარატის წმენდა რატომ უნდა გავრცელდეს მარტო თავადაზნაურობაზე და არა ყველა იმაზე ვინც ამახინჯებს ჩვენს ხაზს:

ჩვენ ასე არ ვაყენებთ საკითხს აპარატის გაწმენდის შესახებ. აპარატი თავად-აზნაურებისაგან უნდა გაიწმინდოს, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი უცხო სოციალური წრიდან არიან გამოსული, არამედ იმიტომ, რომ ისინი არ ატარებენ საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის ხაზს, მათ არ უნდათ გაატარონ იგი. ყველა ის პირი, რა სოციალური წრიდანაც არ უნდა იყოს იგი გამოსული, ვინც გვერდს აუხვევს ხელისუფლების დირექტივებს, უნდა ჩამოშორდეს საბჭოთა აპარატს. რასაკვირველია ამში შეიძლება მოხვდნენ მუშაც და გლეხიც, თუ ისინი გადაგვარებულნი არიან და მოცულნი უცხო ელემენტების გავლენის ქვეშ. ამ მოკლე ხანში ჩატარდება არჩევნები კოოპერატიულ ორგანიზაციებში. ჩვენი მუშკორები უნდა ეცადონ, რომ კოოპერაციის აპარატში არ მოჰყვენ უვარგისი ელემენტები.

იდეოლოგიური ფრონტი

ზოგიერთ ამხანაგს აინტერესებს იდეოლოგიურ ფრონტის მდგომარეობა ჩვენში. მაგალითად, ერთი კითხულობს: რა ზომები მიიღეთ თქვენ ჯავახიშვილის წინააღმდეგ, როცა მან დასწერა „დამპატიჟე"-ო. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს მკვეთრი იარაღი. ეს არის მარქსიზმი. ამ იარაღით აღჭურვილი ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ფეხზე დადგა და ამხილა „დამპატიჟე"-ს ავტორის ნამდვილი ზრახვები. ჩვენ გვმართებს, რომ ფხიზლად ვიდგეთ იდეოლოგიურ ფრონტზე, რადგან მწერლების, მხატვრობის საშუალებით ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეები უფრო ადვილად ავრცელებენ მუშათა კლასისათვის მავნე შეხედულებებს.

კლასიური ბრძოლის გამწვავების გამო, გამოცოცხლება დაეტყო ანტიპროლეტარულ იდეოლოგიას. თავი წამოჰყო აგრეთვე ნაციონალიზმმაც, რომელიც ალბად გაძლიერდება, როცა ჩვენი აპარატი გაიწმინდება უვარგის ელემენტებისაგან.

ეხლახან სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ ვაჟბატონს უბრძანებია, რა უნდა ქართულ უნივერსიტეტში სომხებსო. ეს ხდება ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე! ზოგიერთებს დღემდე ვერ შეუგნიათ ჩვენი ეროვნული პოლიტიკა და ასეთი გამოსვლებით ხელს უშლიან ამ პოლიტიკის გატარებას. ჩვენ ამის ნებას არავის მივცემთ. ჩვენი აპარატი უნდა გაიწმინდოს ასეთი გაუსწორებელი ელემენტებისაგან.

ქართულმა მწერლობამ დღემდე ვერ აუღო ალღო თანამედროვეობას. ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აქვს მთელ რიგ ახალ მოვლენებს. იზრდება ახალგაზრდობა-პიონერები, კომკავშირელები; ვითარდებიან მეურნეობის ახალი ფორმები—კოლექტივები და სხვ. მაგრამ ეს ახალი მოვლენები ჩვენ მწერლობაში ვერ პოულობენ გამოხატულებას. ჩვენი მწერლები მათ ვერ ხედავენ, და იმ თვალით, რომლითაც ეხლა იმზირებიან, ვერც დაინახავენ.

იზრდება პროლეტარული მწერლობა. მას წლიდან-წლამდე მეტი მომწიფება ეტყობა. პროლეტ. მწერლები მშვენივრად სწერენ ლექსებს, მაგრამ ჯერ ისინი იმდენად მოღონიერებულნი არ არიან, რომ ფართოთ ასახონ თანამედროვე ცხოვრება. ამისათვის საჭიროა ფართო გონებრივი ჰორიზონტი. მათ დიდხანს დასჭირდებათ კიდევ ბევრი მეცადინეობა და მომზადება, ამის შემდეგ ჩვენ გვეყოლება ნამდვილი პროლეტარული მწერლები.

დიდი ცვლილება განიცადა ჩვენმა თეატრმა. მან რამოდენიმე რევოლიუციონური პიესა დადგა. მართალია, იგი სდგამს ნათარგმნ პიესებს, მაგრამ როცა ჩვენ არა გვაქვს ორიგინალური რევოლიუციონური პიესები, თეატრს მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ ნათარგმნ პიესების დადგმაც, რომელიც იძლევიან სამოქალაქო ომების გამოხატულებას. ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა ჩვენს მუშათა კლასს გავაცნოთ რევოლიუციის ახლო წარსული და [illegible] არ ჩამოვრჩეთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს.

ტროცკის შესახებ

ერთი ამხანაგი კითხულობს, განა ჩვენთვის უარესი არ არის ის, რომ მთავრობამ ტროცკი საზღვარგარეთ გადაასახლა.



თბილისის მაზრის დელეგაცია
ფარულავა ვლ. (მილიცია), დოლიძე ივ. (მანგლისი), ჭითაური არ. (თიანეთი), ოტიაშვილი ნიკ. (საგარეჯო), ზაალიშვილი ჟ. (თბილისი), გარსიაშვილი გ. (სართიჭალა) და გაჩეჩილაძე შ.

მთავრობა სწორად მოიქცა, როცა ტროცკი საზღვარგარეთ გადაასახლა. ჩვენთვის იგი უფრო მავნებელი იყო აქ, რადგან იგი ახერხებდა თავის თანამოაზრეებთან კავშირის გაბმას და ანტი-საბჭოთა მუშაობის წარმოებას. საზღვარგარეთ ტროცკის ორი გზა დარჩენია: თუ იგი დაიწყებს წერას ჩემბერლენების და სხვა იმპერიალისტების წინააღმდეგ, დე სწეროს რამდენიც უნდა. არის მეორე გზა, რომელიც ალბად უფრო მისაღებია ტროცკისათვის. ეს ის გზაა, რომელსაც იგი საბჭოთა მტრების ბანაკში მიჰყავს. მან უკვე დაიწყო წერა ჩვენს წინააღმდეგ. მას ხოტბა-ქებით შეეგებენ ჩვენი მტრები—მენშევიკები და სხვები. რამდენიც არ უნდა სწეროს ტროცკიმ ჩვენს წინააღმდეგ, ვერაფერს დაგვაკლებს. ამით მხოლოდ გამოაშკარავებს თავის ნამდვილ სახეს და საბჭოთა კავშირის მშრომელნი საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ ტროცკი საბჭოთა ხელისუფლების ისეთივე მტერია, როგორც ის პირები, რომელნიც მას ქებით შეეგებენ.

პარტიის წმენდა

ერთ-ერთ ამხანაგს აინტერესებს, შეუძლიათ თუ არა პარტიის წმენდაში მონაწილეობა მიიღონ უპარტიო მუშგლეხკორებმა? ჩვენი პარტია უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა. მას ბევრი უცხო გადაგვარებული ელემენტი მიეტმასნა. პარტია დაინტერესებულია, რომ თავის რიგებს ჩამოაშოროს მისთვის უცხო პირები. ამას იგი შესძლებს ფართო მშრომელ მასების დახმარებით, პარტიის წმენდაში მათი აქტიური მონაწილეობით. ყოველმა მშრომელმა და პირველ რიგში მუშგლეხკორმა, პარტიულ ორგანოებს დაუფარავად უნდა მიაწოდოს ცნობები და ამით ხელი შეუწყოს კომუნისტური პარტიის რიგების გაჯანსაღებას.

საბოლოო სიტყვის დასასრულ ამხ. კახიანს თათბირის დელეგატებმა ოვაციები გაუმართეს.

უკანასკნელი სხდომა

15 მარტის საღამოს სხდომაზე ამხ. ყოჩიკაშვილმა თავის საბოლოო სიტყვაში პასუხი გასცა დელეგატების შეკითხვებს. ამ დროს დარბაზში შემოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელსაც დელეგატები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, რამდენადაც ვიცი მუშგლეხკორთა თათბირმა უკვე ამოსწურა მის დღის წესრიგში დასმული საკითხები, მაგრამ მე მაინც მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს — ეროვნულ საკითხს.

კომუნისტური პარტია ყველა საკითხს კლასობრივ საზომით უდგება და მაშასადამე, მისი ეროვნული პოლიტიკაც კლასობრივი პრინციპიდან გამომდინარეობს. ამიერ-კავკასია ხასიათდება ეროვნული სიჭრელით. ამ ეროვნებათა შორის სოლიდარული, კეთილმეზობლური განწყობილების დასამყარებლად კომუნისტურმა პარტიამ მიმართა ისეთ პოლიტიკურ - ორგანიზაციულ ღონისძიებას, რომელსაც შედეგად მოყვა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა. ფედერაციის შექმნის გზით ჩვენ შევსძელით ეროვნებათა ჩაბმა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. ჩვენი მტრები ხედავენ რა ამას, სცდილობენ რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა გაუწიონ ამიერ-კავკასიის ფედერაციას და ჩაშალონ იგი. ასეთი ცდა იყო მაგალითად მენშევიკ გრ. ლორთქიფანიძის ცნობილი გალაშქრება ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, მაგრამ ამიერ-კავკასიის მშრომელებმა კარგად იციან ამიერ-კავკასიის ფედერაციის მნიშვნელობა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არც ამ საკითხში დაუთმობენ ჩვენს მოწინააღმდეგებს.

თვითეულ რესპუბლიკაში ჩვენ გვყავს ეროვნული უმცირესობანი. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია ამ უმცირესობათათვის დახმარების აღმოჩენის, მათი კულტურული და ეკონომიური განვითარებისაკენ. ადგილობრივი ხელისუფლება და სხვადასხვა ორგანიზაციები ზოგჯერ ამახინჯებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა საკითხში და ამით პარტიას „დათვურ სამსახურს" უწევენ. ავიღოთ, თუ გნებავთ, რელიგიისა და მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ხელისუფლებას შეეძლო ერთი დეკრეტის გამოცემით ყველა ეკლესიების დახურვა, მაგრამ ჩვენ ამას არ ვშვრებით. რატომ? იმიტომ, რომ ასეთმა ტლანქმა შეჭრამ მოსახლეობის რწმენაში შეიძლება ის ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოაქციოს. ასეთი ძალადობა შეასუსტებს ჩვენს პოლიტიკურ პოზიციებს, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ იმ პირობების მოსპობას, რომელიც ხელს უწყობენ რელიგიის არსებობას. ჩვენ სწორედ ასე ვიქცევით და ის, ვინც ამრუდებს ამ პოლიტიკას, ფაქტიურად ჩვენ გვეწინააღმდეგება. მუშგლეხკორებმა ასეთ პირებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა.

თათბირმა საპატიო მუშკორებად დამატებით აირჩია ამხ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია და კახიანი, ხოლო ამხ. გ. ჯავახიძე—საპატიო ახკორად.

აჭარისტანის დელეგაცია
სხედან: (მარცხნიდან მარჯვნივ) ერმალინა, გ. ტულუში, გრ. შავიშვილი, გაბელია და ოგანეზოვა.
სდგანან: თოდუა, ლიხაჩოვი, ბარამიძე, ლომთათიძე და გაბუნია.

სამანდატო კომისიის მოხსენება

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ნანუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თათბირს სულ დაესწრო 274 დელეგატი. ამათგან 212 გადამწყვეტი და 62 სათათბირო ხმით.

პროვინციიდან სათათბირო ხმის უფლებით ყრილობას დაესწრო 9 დელეგატი.

გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებიდან: მუშკორია—87, გლეხკორი—79, ახკორი—20, სამხ. კორესპონდენტი—19 და მოჯამაგირე კორესპ.—6; სქესის მიხედვით—14 ქალია და 198 მამაკაცი. პარტიულობით: კომუნისტი—110, კომკავშირელი—59 და უპარტიო—43.

თბილისიდან თათბირს ესწრება—30 დელეგატი (წით. არმიიდან—19), თბილისის მაზრიდან—18, კახეთის მ.—16, ქუთაისის—24, შორაპნის—17; ჭიათურიდან—7, გორის მაზრიდან—23; ბორჯომიდან—3, ხაშურიდან —7, რაჭა-ლეჩხუმის მაზრიდან—6, სენაკის—9, ოზურგეთის—8; ზუგდიდის—5; ფოთიდან—5; აჭარისტანიდან—14, აფხაზეთიდან—4, სამხრეთ-ოსეთიდან—5, ბორჩალოს მაზრიდან—[illegible]; ახალციხის—6; ახალქალაქიდან—1.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუციები განხილულ საკითხების გამო.

თათბირმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას, გაზეთ „პრავდა"-ს რედაქციას, ჟურნ. „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ის რედაქციას, ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და მაქსიმ გორკის.

თათბირმა გადასწყვიტა აგრეთვე ლენინგრადის და ურალის მუშგლეხკორთა მაგალითის მიხედვით გაიღოს წვლილი თვითმფრინავის და ჯავშნოსანის ასაგებად.

დასასრულ საქართველოს [illegible] მუშა-მოსამსახურეთა კედლის გაზეთის თანამშრომლების და მკითხველების სახელით თათბირს მიესალმა და საჩუქრად კალამი მიუძღვნა ამხ. შნაიდერმა. თათბირი დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

თათბირის მისალმებანი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას

მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა სრულიად საქართველოს თათბირი მხურვალე სალამს უძღვნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას—კომუნისტური პარტიის მებრძოლ შტაბს, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის შემქმნელს, რომელიც გადაუხრელად ახორციელებს უკვდავი პროლეტარული ბელადის ლენინის ანდერძს.

საქართველოს მუშგლეხკორთა არმია როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც ყოველთვის და ყოველგან ფხიზლად ადევნებს თვალს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებებისა და დირექტივების სისწორით და გადაუხრელად გატარებას და სოციალისტური მშენებლობის წარმატებით გაფართოებას შემდეგშიაც.

მჭიდროთ დარაზმეთ ლენინური გვარდიის რიგები, დაიცავით პარტია ყველა ისეთი ცდისაგან, რომლის მიზანია გადაახვევინოს პარტიას სწორი პროლეტარული კლასობრივი ხაზიდან. გადამჭრელი და დაუნდობელი ბრძოლა ლენინის ანდერძის სიწმინდისათვის, მკაფიო, მტკიცე კომუნისტური პოლიტიკისათვის, რომელსაც ყოველთვის გადაუხრელად ახორციელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ყოველთვის ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებდა და მომავალშიაც ჰპოვებს უპარტიო მშრომელ მასებს შორის. საქართველოს მუშგლეხკორთა არმია ერთგული დამცველია პროლეტარული საქმისა, რომელსაც საკავშირო კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას!

გაუმარჯოს ლენინური კომუნისტური პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას!

„პრავდა"-ს

ჩვენი მხურვალე მუშგლეხკორული სალამი ლენინის ანდერძის ერთგულ შემსრულებელს, სოციალისტური მშენებლობის იდეურ ხელმძღვანელს და ორგანიზატორს, ბოლშევიკური პრესის ტრადიციების სამაგალითო მატარებელს—„პრავდა"-ს.

გაუმარჯოს „პრავდა"-ს, პროლეტარული სიმართლის და კომუნიზმის საქმის უანგარო დამცველს!

ამხ. ს. ორჯონიკიძეს

მხურვალე სალამი საქართველოს მუშა, გლეხ, სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტთა თათბირისაგან, სამაგალითო ბოლშევიკს, მუდამ მტკიცე ლენინელს—ამხ. სერგო ორჯონიკიძეს.

გულისტკივილით გავიგეთ შენი ავადმყოფობის ამბავი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ავადმყოფობა ვერ მოადუნებს მუშათა კლასისათვის თავდადებულ ძვირფას სერგოს მუდამ მჩქეფარე ენერგიას.

შენი უშუალო და აქტიური ხელმძღვანელობით მჭიდროთ შეკავშირებულ ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელი მასები მტკიცედ ივლიან წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით. თავის შვიდი წლის არსებობის გამავლობაში ამიერ-კავკასიის ფედერაციამ, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ცხადჰყო, რომ ნამდვილი ეროვნული სოლიდარობა, ჩაგრულ ეროვნებათა ნამდვილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს—ამხ. სერგო ორჯონიკიძეს.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს

საქართველოს მუშგლეხკორთა ყრილობა სალამს უძღვნის სახელოვან კომუნისტურ პარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ეროვნული სოლიდარობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკ. სინამდვილეში, მუდამ ურყევ საფუძველზე იქნება დაყრდნობილი. მენშევიკებს, მუსავატელებს, დაშნაკებს და ყოველი ჯურის ბნელეთის მოციქულებს არ ასვენებს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის ძმური სოლიდარობა სუფევს და ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივდივართ წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

საქართველოს მუშგლეხკორთა მასები მუდამ მტკიცედ ედგომებიან მხარში კომუნისტურ პარტიას და ყოველნაირად შეუწყობენ ხელს თავდადებულ ბრძოლაში ლენინიზმის იდეების პრაქტიკულ განხორციელებისათვის

გაუმარჯოს ლენინიზმის მედროშეს—ამიერკავკასიაში — საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს!

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირი მხურვალედ ესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მუშგლეხკორთა მოძრაობა თქვენი მტკიცე ხელმძღვანელობით მძლავრ მასიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციად გადაიქცა საქართველოში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამოისუნთქა თავისუფლად მშრომელმა მასებმა, და მათ ფართო ასპარეზი გაეხსნა შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის. მუშგლეხკორთა მოძრაობა საბჭოთა საზოგადოებრიობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

როგორც ყოველთვის, ისე მომავალში, მუშგლეხკორთა არმია თავდადებით იბრძოლებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანების ურყევად და სრულად გატარებისათვის. ჩვენ ყოველნაირად შეუწყობთ ხელს ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის განხორციელებას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, საბჭოთა აპარატის [illegible] მტკივნეულ მხარის დაუნდობლად გამომჟღავნებას და შოვინისტური განწყობილებების საბოლოოდ აღმოფხვრას საქართველოში.

გაუმარჯოს ლენინის აღთქმათა მტკიცე გამტარებელ — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას.

„რაბოჩე კრესტიანსკი კორესპონდენტს"

მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა სრ. საქართველოს თათბირი მხურვალედ ესალმება ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ის რედაქციას.

საქართველოს მუშგლეხკორები ფართოდ იყენებენ მუშგლეხკორთა მოძრაობის იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც აქვთ ჩვენს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს, პირველ რიგში—საბჭოთა რუსეთს, და რომლის პოპულიარიზატორია „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი".

მომავალშიაც განვაგრძობთ მუშაობას თვითკრიტიკის გაღრმავებისა, ინდუსტრიალიზაციის, სოფლის კოლექტივიზაციის, საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის აწევისა და შემოქმედებითი სოციალისტური მშენებლობისათვის.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ თანაშემწეს—მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა არმიას!

გაუმარჯოს მუშგლეხკორთა მსოფლიო სოლიდარობას!

მ. გორკის

საქართველოს მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა რესპუბლიკანური თათბირი მხურვალე ამხანაგურ სალამს უძღვნის პროლეტარულ მწერალს, მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს—მაქსიმ გორკის.

იმედი გვაქვს, კვლავ მალე გნახავთ ჩვენს შორის ფიზიკურად ჯანსაღს და, როგორც ყოველთვის, სულით მხნეს!

დელეგატების ჯგუფი: ცაგარელი (მახინჯაური), სამანუკოვი (შორაპანი), გელაშვილი (ბორჯომი), ოთარაშვილი (თბილისი), კადელაკი (გარე-კახეთი), მურადოვი (ბორჯომი),

პარტიაში

მთავარი მიმდინარე ამოცანა-მემარჯვენეობასთან ბრძოლა

ტროცკიზმმა აშკარად გამოაჩინა თავისი კონტრ-რევოლიუციონური სახე, მის ნამსხვრევებთან ბრძოლა მით უფრო უნდა იქნეს გაძლიერებული. — პარტიის მთავარი ამოცანა კი ამჟამად მემარჯვენეობასთან ბრძოლაა.—არავითარი მერყეობა პარტიის გენერალური ხაზის საკითხში, პარტიულ დავალებათა უსიტყვოდ შესრულება, პარტდისციპლინის მტკიცედ დაცვა—ასეთია თბილისის ორგანიზაციის უჯრედთა ერთსულოვანი მოთხოვნილება.

აშკარა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ

(ქალაქის რაიონის უჯრედთა ჯგუფურ კრებაზე)

გუშინ, მეჭედავთა კლუბში, ქალაქის რაიონის უჯრედთა გაერთიანებულ კრებაზე, ამხ. რუბენმა გააკეთა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

ტროცკიზმმა—ამბობს მომხსენებელი,—უკვე სავსებით გამოააშკარავა თავისი კონტრრევოლიუციონური სახე არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშეც.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ უნდა შევასუსტოთ ტროცკიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამჟამად კი ჩვენს უმთავრეს ამოცანას შეადგენს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც შევიდა თავისი განვითარების ახალ სტადიაში.

ზოგიერთი ამხანაგებისაგან ხშირად გაიგონებთ: „მოგვეცით ვინ არის კონკრეტულად მემარჯვენე გადახრის მატარებელი. ჩვენ მათ ერთი დაკვრით მოვსპობთ"-ო. ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა. მემარჯვენე გადახრას, როგორც მიმდინარეობას—თავისი წარმოშობის ეკონომიური მიზეზები აქვს. ჩვენი ამოცანაა გარკვევით წარმოვიდგინოთ ამ გადახრის რაობა და ვიბრძოლოთ მისი მასაზრდოებელი ნიადაგის წინააღმდეგ.

მაინც რამ წარმოშვა მემარჯვენე გადახრა?

თქვენ კარგად იცით რომ, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის პროცესში წამოჭრილი სამეურნეო სიძნელეებს მუდამ თან ახლდა სხვადასხვა სახის გადახრა ლენინური ხაზიდან.

ეხლაც, როდესაც ჩვენს წინაში პრაქტიკულად დაისვა ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნის საკითხი, წამოიჭრა მთელი რიგი სამეურნეო დაბრკოლება, რომელმაც დააფრთხო პარტიის ზოგიერთი მერყევი ელემენტები. ამ ელემენტებმა მოითხოვეს ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება ქალაქად და ინდივიდუალური მეურნეობისადმი ხელის შეწყობა (კოლექტივიზაციის ნაცვლად) სოფლად.

რას ნიშნავს ეს? ჩვენ რომ ხელი ავიღოთ ფაბრიკების და ქარხნების აგებაზე და ამშენებლობისათვის გადადებული თანხა სამომხმარებლო პროდუქტების შესყიდვას მოვახმაროთ, ნუ თუ ამით შევანელებთ იმ სიძნელეებს, რომლებიც ჩვენს წინაში სდგას?

სრულებითაც არა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სიძნელენი ეს ზრდის სიძნელეებია და ამგვარი ზომებით მათი აღმოფხვრა შეუძლებელია. სწორედ ეს ვერ გაუგიათ მემარჯვენე გადახრის მატარებელთ, სწორედ ამიტომ სცილდებიან ისინი ლენინური პარტიის გენერალურ ხაზს".

ამხ. რუბენის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კამპასტიანმა, ვარნაზოვმა, სიტკოვსკიმ, კაჩაჟმაშვილმა, ათოევმა; მაისურაძემ; წიკლაურმა და ავაქიანმა.

ამხ. კამპასტიანი. მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელნი სპეკულიაციას ეწევიან ჩვენს სიძნელეებზე და ფაქტიურად ნეპმანურ და კულაკურ ელემენტების მისწრაფებას გამოხატავენ. მათი მოქმედება კულაკის შიშით არის გამოწვეული. კულაკმა ააცდინა ისინი სწორ ხაზს და სწორედ ამიტომ არის, რომ პარტიამ მძლავრი იერიში უნდა მიიტანოს ამ გადახრის წინააღმდეგ.

წიკლაური. ზოგიერთი ამხანაგი მეტ მნიშვნელობას აძლევს ცალკე პიროვნებების წინააღმდეგ ბრძოლას. რასაკვირველია ცალკე მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა, მაგრამ მთავარი ცეცხლი საერთოდ უნდა მიმართულ იქნეს იმ ეკონომიური საფუძვლის წინააღმდეგ რაც ხელს უწყობს მემარჯვენე გადახრის წარმოშობას. ჩვენშიც ბევრია მემარჯვენე გადახრის შემთხვევები. მაგალითად თუნდაც სახლების მუნიციპალიზაციის მაგალითი. ბევრი პასუხისმგებელი ამხანაგი ცდილობდა დაეტოვებია სახლები აშკარა ნეპმანურ ელემენტებისათვის.

დანარჩენმა ამხანაგებმა ილაპარაკეს შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ წარმოებებში, რასაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ამხ. რუბენის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სასტიკად გმობს მემარჯვენე გადახრას და მოითხოვს მკაცრი ბრძოლის წარმოებას მის წინააღმდეგ.

არ დაუშვებთ პარტდისციპლინის დარღვევას

(ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა)

15 მარტს, პლეხანოვის კლუბში შესდგა ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალთა და ვაგონთა შემკეთებელ ქარხნის კომუჯრედების ჯგუფური კრება. კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა. მომხსენებელმა ფართედ გაშუქა მემარჯვენეების საქმიანობა, რომელიც მიმართულია პარტ. მთლიანობის და მე-15 ყრილობის მიერ დასახულ გენერალური ხაზის წინააღმდეგ. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა, რის შემდეგაც გაიმართა კამათი.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს პარტიას წარსულში უხდებოდა ბრძოლა მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, რაც ცხადია აფერხებდა მის შემოქმედებით მუშაობას. ამჟამად კი როდესაც ჩვენ განვიცდით დროებით სამეურნეო სიძნელეებს, განსაკუთრებით დიდი ვნების მოტანა შეუძლია მემარჯვენე ოპორტუნიზმს, ამიტომ ორატორები მოითხოვდნენ სასტიკი ზომების მიღებას მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემრიგებლობის აღსაკვეთად.

„შინაპარტიული დემოკრატიის დაცვა — ამბობდნენ ორატორები,—აზრთა გაცვლა-გამოცვლის თავისუფლება საჭირო და აუცილებელიც არის, მაგრამ როდესაც მემარჯვენეები აშკარად ცდილობენ ლენინური დისციპლინის დარღვევას, ეს მათ არ უნდა ეპატიოს, ამისათვის მათ სასტიკი პასუხი უნდა აგონ".

ამხ. კახიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება ერთხმად შეუერთდა თბილისის მე-9 პარტკონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციას შინაპარტიული მდგომარეობის საკითხზე.

ანტილენინური გადახრები ძირშივე უნდა აღიკვეთოს

(ტრამვაის, სახკინმრეწვის და სხვ. უჯრედების ჯგუფური კრება)

ტრამვაის, სახკინმრეწვის, „მარტო-სტრო-ის" და რკინის გზის საავადმყოფოს კომუჯრედების ჯგუფურმა კრებამ, რომელიც შესდგა გუშინ, მოისმინა ამხ. სვანიძის მოხსენება მემარჯვენე გადახრის შესახებ.

მოხსენებას შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ არავის არ აქვს უფლება უარი განაცხადოს პარტიის მიერ დავალებულ მუშაობაზე.

„ჩვენ მოვითხოვთ—ამბობდნენ ისინი, — მე-15 პარტიულ ყრილობის და კომინტერნის მე-6 კონგრესის დადგენილებების მტკიცედ გატარებას ცხოვრებაში, ჩვენ მოვითხოვთ ყოველგვარ ანტილენინურ გადახრის ძირშივე აღკვეთას".

ამხ. სვანიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება შეუერთდა თბილისის პარტკონფერენციის რეზოლიუციას ამხ. კახიანის მოხსენების გამო.

გმობენ მემარჯვენეობას

(ჩოხათის თემი, გურია)

ჩოხათის თემის პარტიულმა კრებამ, კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის გადაჭრით გმობს როგორც „მემარცხენე", ისე მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას. კრება მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრს გულდასმით შეისწავლოს მე-15 ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ყოველდღიურ მუშაობაში დაუნდობელი ბრძოლა აწარმოოს მათი რევიზიის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას პირველი პლენუმი

ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევა

ბაქო, 15 მარტი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას პირველმა პლენუმმა აირჩია ცეკას პრეზიდიუმი, სამდივნო, ცეკას მდივნები, დაამტკიცა ცეკას განყოფილებათა გამგეები და გაზეთების რედაქტორები.

ცეკას პრეზიდიუმში არჩეულია 15 წევრი და 6 კანდიდატი; პრეზიდიუმში არჩეული არიან.

წევრებად— ალამალი-ოღლი, ალავარდიევი, ბუნიატ-ზადე, კაზმოვი იუსუფ, მირზოიანი, კარაევი, ალამიროვი სურენ, მუსაბეკოვი, ნოვრუზი რზაევი, კონუშკინი, რაგიმოვი, პლეშაკოვი, ოსკარ ეფენდიევი, მეჯიდ ეფენდიევი, ხუდიაკოვი (ბიბი-ეიბათის რაიონის დაზგის მუშა).

კანდიდატებად — ბარინოვი, გუტინი, დოვლატოვი, ზეინალოვი, აინა სულთანოვი, მურადოვი.

ცეკას სამდივნოში არჩეული არიან: ამხ. კარაევი, მირზოიანი, კარმოვი, პლეშაკოვი.

ცეკას მდივნებად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. კარაევი, მირზოიანი, კასიმოვი იუსუფ.

საორგანიზაციო განყოფილების გამგედ არჩეულია: ამხ. ალამიროვი, მუშა და გლეხქალთა განყოფილების გამგედ—ამხ. სულთანოვა, სოფლად მომუშავე განყოფილების გამგედ ამხ. გოლცევი.

გაზეთების რედაქტორებად დამტკიცებულია ამხ. სურენ ალამიროვი („ბაკინსკი რაბოჩი"), თურქული „კომუნისტ"-ის — ამხ. იუსუფ კაზიმოვი, მოადგილედ ამხ. ახმედ ტრინიჩი, სომხურ „კომუნისტ"-ის— ამხ. დოვლატოვი, მოადგილედ — ამხ. სარქისიანი.

საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა მეოთხე ყრილობა

მეშვიდე სხდომა

14 მარტის საღამოს სხდომაზე მოისმენილი იქნა ამხ. ძამანაშვილის მოხსენება საქართველოს სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქ. სასოფ. მეურნეობის განვითარების 5 წ. გეგმა

(ამხ. ძამანაშვილის მოხსენება)

ამჟამად სოფლის მეურნეობას მთელ სახალხო მეურნეობაში 78 პროცენტი უჭირავს; საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნედლი მასალით მრეწველობის უზრუნველყოფის მხრივ. ამიტომ ჩვენს ამოცანას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდება, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, კოლექტივიზაცია და ტეხნიკური კულტურების განვითარება. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მოსავლიანობის გადიდება 16 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობები მთელ სასოფლო მეურნეობაში უნდა შეადგენდნენ 18 პროც. თუ 1927—28 წელში მარცვლეულის კულტურას ეკავა 758616 ჰექტარი, 1932—33 წელში მან უნდა დაიკავოს 872950 ჰექტარი. ტეხნიკურ კულტურებს 1927—28 წ. ეჭირა 22345 ჰექტარი, 1932—33 წ. მას უნდა ეკავოს —54638 ჰექტარი. მემინდვრეობა 12688 ჰექტარიდან (1927—28 წ.) აყვანილი იქნება 61.000 ჰექტარამდე ((1932—33 წ.). ტეხნიკურ კულტურებში უმთავრესად შედის მებამბეობა, მეთამბაქოება, ჩაის კულტურა, მეაბრეშუმეობა, შაქრის ჭარხალი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე მესაქონლეობას (მის განვითარებას რიცხვობრივად და თვისობრივად) და ტყის მეურნეობას.

—:—

ამხ. ძამანაშვილის მოხსენების დამთავრებისას დარბაზში შემოვიდა და სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელსაც ყრილობამ ოვაციები გაუმართა.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამხანაგებო, მე ვწუხვარ რომ მხოლოდ დღეს მომეცა საშუალება დავსწრებოდი თქვენს ყრილობას, იმ ყრილობას, რომელიც ჩვენი აღმშენებლობის საკითხებზე მსჯელობს. საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას, ანუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნას და განვითარებას სოციალისტურ საფუძველზე. ეს რეკონსტრუქცია შეუძლებელია მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკთა მონაწილეობის გარეშე ანუ თქვენს გარეშე. რასაკვირველია, ეს ადვილი საქმე არ არის. თქვენ გიხდებათ არა მარტო თქვენი ცოდნის გამოყენება ამ საქმეში, არამედ ახალი ცოდნის შეძენაც, რადგან ჩვენ ძალიან მდიდარი არ ვართ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებით. თქვენ უაღრესად დიდი ენერგიის დახარჯვა გიხდებათ ამ აღმშენებლობაზე, რაც ადასტურებს იმას, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა მასა ხელისუფლებასთან ხელიხელ ჩაკიდებული იღწვის მუშათა კლასის საქმისათვის. შახტის ამბავი, ეს ჩირქიანი მუწუკი იყო ინჟენერ-ტეხნიკოსთა ჯანმრთელ ორგანიზმზე, რომელიც მან უმტკივნეულოდ მოიშორა; ამჟამად ინჟენერ-ტეხნიკოსთა წინაშე დასმულია სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების, წარმოების პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის დისციპლინის ამაღლების და საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცედ დაცვის ამოცანა. გისურვებთ ამ ამოცანების შესაფერისად გადაჭრას.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ინჟ. კაკაბაძემ.

მისალმების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. კაკაბაძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ მელიორაციის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოგიამ.

სამელიორაციო საქმე

(ამხ. გოგიას მოხსენება)

ხელისუფლება დაინტერესებულია მოსავლიანობის გადიდებით. ეს კი შესაძლებელია მიწის რაც შეიძლება მეტი ფართობის რაციონალურად გამოყენებით. ეს გარემოება მელიორაციას უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევს. 5 წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მუშაობის ჩატარება: კოლხიდის ჭაობების ამოშრობა, რაც დაჯდება 4570000 მანეთი, არხების გაყვანა და მორწყვა შემდეგი მინდორ-ადგილების: ალაზნის, (დაჯდება 3620000 მანეთი), სამგორის (7850.000 მანეთი), შირაქის (1055000 მანეთი), ელდარის (2400000 მანეთი), ყარაიას (2210000 მან.), ბორჩალოს (1055000 მან.), ტირიფონის (1400000 მან.), ნაწილი ამ სამუშაოებისა უკვე დაწყებულია. გარდა ზემოთ დასახელებულ სამუშაოებისა განზრახულია სხვა წვრილი სამუშაოებიც: მდინარეების ნაპირებს გასამაგრებლად გადადებულია 2350000 მანეთი, წვრილი აღმშენებლობისათვის და საირიგაციო ხარჯებისათვის გადადებულია 4000000 მანეთი. სულ კი მელიორაციაზე დაიხარჯება 33410000 მანეთი.

მეორე სხდომა

კამათი ამხ. ძამანაშვილისა და გოგიას მოხსენებათა გარშემო

15 მარტის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ძამანაშვილისა და გოგიას მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. კაციტაძემ, ტიმოფეევმა, ტერ-ხაჩატუროვმა, ბაზოვმა, ანდრონიკაშვილმა, ნადარეიშვილმა; წიწვიაძემ, სოკოლოვმა, ზრევაძემ, კორინთელმა, მალაშხიამ, ბაქრაძემ; ჯოლუქაძემ, ლონტმა, კარბელაშვილმა; ვილდმა, პოლიტმოვმა, დიასამიძემ და გეგეჭკორმა.

ორატორები ჩერდებიან სოფლის მეურნეობასთან და წყლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ საკითხებზე. აფხაზეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ ხუთწლიან გეგმაში მკრთალადაა გათვალისწინებული სუბტროპიკული კულტურების განვითარება. დელეგატები მოითხოვდნენ, რომ წყალთა მეურნეობის სამმართველომ ზომები მიიღოს მორწყვის საქმის რაციონალიზაციისათვის, რათა გეგმით გათვალისწინებული წყლის ქსელით შესაძლებელი გახდეს, რაც შეიძლება მეტი სივრცის მორწყვა. მიწსახკომმა და წყალთა მეურნეობის სამმართველომ თავისი გეგმები მელიორაციის საკითხში უნდა შეუთანხმონ ერთმანეთს. გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულს ტეხნიკას, რომ გაბინძურებულმა არხებმა ხელი არ შეუწყონ სხვადასხვა სენის წარმოშობას და განვითარებას. სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა ელექტრო-ენერგიის რაციონალურად გამოყენება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტყის მეურნეობის განვითარებას და მეფრინველობას.

დასასრულ მოსმენილი იქნა ამხ. ძამანაშვილის და გოგიას საბოლოო სიტყვები.

ყრილობის მისალმება

საქართველოს კომპარტიის ცეკას

საქართველოს საინჟენერო-ტეხნიკურ მუშაკთა მეოთხე ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს მუშათა და გლეხთა ბელადს—საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საინჟენერო-ტეხნიკური მუშაკების მონაწილეობის გაძლიერება სოციალისტურ მშენებლობაში,—იმ მუშაკებისა, რომელიც მუშათა კლასთან ერთად, შეგნებულად ასრულებენ ახალი მშენებლობისა და ჩვენი საზოგადოების ახალ საფუძველზე გარდაქმნის ამოცანებს — წარმოადგენს შედეგს საქართველოს კომპარტიის ცეკას სწორი პოლიტიკისა, ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებული ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის გადაჭრის— შრომისა და მეცნიერების სინტეზის შექმნის—საქმეში.

ყრილობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მომავალშიაც მუშათა კლასი მთლიანად კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საინჟენერო ტეხნიკურ მუშაკთა აქტიური მონაწილეობით, უფრო მეტად განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას, მიაღწევს შემდგომ გამარჯვებებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციისა და კულტურული რევოლიუციის საფუძველზე და უზრუნველჰყოფს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ბელადს—საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

საქართველოს ცაკს და სახ. კომისართა საბჭოს

საქართველოს სამი ათასი საინჟენერო-ტეხნიკური მუშაკის წარმომადგენლები, რომელნიც შეიკრიბნენ სრულიად საქართველოს მეოთხე ყრილობაზე, სალამს უძღვნით პროლეტარული დიქტატურის უმაღლეს ორგანოებს—საქართველოს ცაკსა და სახ. კომისართა საბჭოს.

თქვენი მტკიცე ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ დასძლია მოღალატე მენშევიკების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის უდიდესი სიძნელენი.

ყრილობა საინჟენერო-ტეხნიკური მუშაკებისა, რომელნიც მუშათა კლასთან ერთად შეგნებულ მონაწილეობას იღებენ ახალი სოციალისტური საზოგადოების შენებაში, აცხადებს მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე, რომ საინჟენერო-ტეხნიკური მუშაკები მომავალშიაც შეუსუსტებელი ენერგიით მიიღებენ მონაწილეობას სოციალისტური მშენებლობაში და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის გადიდებაში და ყოველ წუთში მზად იქნებიან იარაღით ხელში შეებრძოლონ საბჭოთა კავშირზე თავდამსხმელებს.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ, თქვენი ხელმძღვანელობით და მთელი ქვეყნის მშრომელთა დახმარებით, შემდგომი სოციალისტური მშენებლობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე საბოლოო გამარჯვებამდე იქნება მიყვანილი.

გაუმარჯოს პროლეტარიატის მისწრაფებათა განმახორციელებელს, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს —საქართველოს ცაკსა და სახ. კომისართა საბჭოს.

პურის ბარათების შემოღების გარშემო

დადგენილება № 21

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში

13 მარტი, 1929 წ.

დასამატებლად 1928 წლის 14 სექტემბერს გამოცემულ დადგენილებისა „გამომცხვარი პურის ფასების შესახებ", ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში ადგენს:

1. გამომცხვარი პურის არსებული მოწესრიგებული ფასები ვრცელდება იმ პურზე, რომელსაც აცხობენ სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იმ ფქვილიდან, რომელსაც ეს უკანასკნელნი ღებულობენ გეგმიანი წესით.

2. სახელმწიფო კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ დამზადებულ ფქვილიდან გამომცხვარი პურის ფასს აწესებენ თვით პურისმცხობელი ორგანიზაციები, ხოლო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ან სავაჭრო კომისიის ორგანოებში წარდგენის შემდეგ ამ ფასებს ამტკიცებენ ადგილობრივი აღმასკომები.

3. ადგილობრივი ფქვილიდან გამომცხვარი პურის ფასების დაწესების დროს ორგანიზაციებმა და სავაჭრო კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ პურის წარმოებისა და ვაჭრობის ნამდვილი თვითღირებულებით, რასაც დაემატება არა უმეტეს 2 პროცენტისა.

4 პურისმცხობელი ორგანიზაციები პურის დამზადებისა და ვაჭრობის ხარჯების კალკულიაციას აწარმოებენ სათანადო ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

5. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლებს და ადგილობრივ სავაჭრო კომისიებს ეკისრებათ შემდეგი მოვალეობანი:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ პურის ცხობის საწარმოო და სავაჭრო საანგარიშო კალკულიაციის შესწავლას;

ბ) გამოარკვიონ ანგარიშების დაყენების თავისებურებანი ყოველ ორგანიზაციაში;

გ) გამოარკვიონ ფაქტიური ხარჯები პურის წარმოებაში და მიიღონ ზომები ამ ხარჯების შესამცირებლად;

დ) მიიღონ ზომები იმ ფაქტიური ხარჯების შესასწავლად და გამოსარკვევად, რომელნიც დაკავშირებულნი არიან პურის რეალიზაციასთან.

6. გამომცხვარ პურზე დაწესებული მტკიცე ფასები არა ვრცელდება იმ კერძო პირებზე, რომელნიც გამომცხვარი პურით ვაჭრობენ, იმ პირობით, თუ აღნიშნული პირები პურს იძენენ კერძო ბაზარზე ან აცხობენ პურს იმ ფქვილიდან, რომელსაც იძენენ არა გეგმიანი წესით ან თავისუფალ ბაზარზე.

7. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში) წარმომადგენლებმა აფხაზეთში და აჭარისტანში და ადგილობრივი აღმასკომების სავაჭრო კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ ამ დადგენილების სწორად შესრულებას.

8. ამ დადგენილების დამრღვევნი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-111 მუხლის თანახმად.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში
სააკიანი.

რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შარმაზანაშვილი.**

თათბირი პროფსაბჭოში

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა პურის ბარათების შემოღების საკითხი.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქ. პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას წარმომადგენელმა ამხ. ივანოვმა, რომელმაც გააცნო თათბირს ბარათების შემოღების მიზანი და წესები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბარათების სისტემის შემოღება გამოწვეულია არა პურის კრიზისით, არამედ პურის რაციონალურად განაწილების მიზნით.

თუმცა თბილისში ამჟამად ყოველდღიურად ცხვება უფრო მეტი პური, ვიდრე საჭიროა მოხმარებისათვის, მაგრამ უკანასკნელ დროს მაინც შემჩნეული იყო რიგები. აღსანიშნავია, რომ მახლობელ სოფლების გლეხობა საკუთარ ხორბალს ყიდდა გადიდებულ ფასებში, ქალაქიდან კი მიჰქონდა გამომცხვარი პური. ამასთანავე გამომცხვარი პურის სიიაფის გამო, ეს უკანასკნელი მიდიოდა საქონლის საკვებად. პურის ბარათების შემოღების შემდეგ, ეს არანორმალური მდგომარეობა აღმოფხვრილი იქნება.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა: კავშირების წარმომადგენლებმა ერთხმად მოიწონეს ეს ღონისძიება და აღნიშნეს, რომ კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ „მკვდარ სულების" წინააღმდეგ ბრძოლას და ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ სათანადო ორგანიზაციებს პურის ბარათების შემოღების წესების გატარებაში.

შრომის ბირჟის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომის ბირჟას არ ჰყავს მომუშავეების საკმაო შტატი სიების შესადგენად, ამიტომ საჭიროა ასეთი მუშაკების გამოყოფა ან და სათანადო თანხის გადადება მათ დასაქირავებლად.

თათბირმა დაადგინა დაისვას საკითხი პურის ბარათების შემომღებ ცენტრალურ კომისიის წინაშე, რათა გაადიდოს ბირჟას შტატი სიების შესადგენად.

იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებული იქნეს ბოროტმოქმედება სიების შედგენის დროს, თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ კერძო წარმოებებში მომუშავეთა სიები შეადგინონ ჯგუფკომებმა.

წყალთა მეურნეობის სამუშაოები

წელს წყალთა მეურნეობის ზოგიერთ სამუშაოების ჩატარების შემდეგ სათესი სივრცე ამიერ-კავკასიაში უნდა გადიდებულიყო 30.000 ჰექტარით, აქედან 25.141 ჰექტარით აზერბეიჯანში, 3.584 ჰექტარით სომხეთში და 1.566 ჰექტარით საქართველოში.

მაგრამ წყალთა მეურნეობის სამუშაოების გეგმა, რომელიც საფუძვლად ჰქონდა დადებული ა.-კ. საგეგმო კომისიის გეგმას მიწის ახალი ნაკვეთების მიღების შესახებ, ამიერ-კავკასიაში შეუსრულებელი რჩება 37 პროც. და 30.000 ჰექტარის მაგივრად ამიერ-კავკასიაში სათესი მოედნის სივრცე გადიდებული იქნება მხოლოდ 19.000 ჰექტარით (14.000 ჰექტარით აზერბეიჯანში, 2.520 ჰექტ. სომხეთში და 1.750 ჰექტარით საქართველოში).

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია წყალთა მეურნეობის სამუშაოების სუსტი ტემპი, წყალით სარგებლობის გადასახადის არა თავის დროზე და არასაკმარისად აკრეფა, იმ სამუშაოების მცირე ნაყოფიერება, რომლებსაც ასრულებს მოსახლეობა წყალის ნატურალური ბეგარის წესით, და წყალთა მეურნეობის სამმართველოების ხარჯთ-აღრიცხვების შემცირება რესპუბლიკანურ ფინსახკომების მიერ (შემცირება გამოიხატა 42,4 პროც.).

რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია იმეორებენ იმ შეცდომებს, რომლებიც უკვე აღნიშნული იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევებში და რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი მთავარ ყურადღებას აქცევენ ახალ მშენებლობას, რაც ცუდად მოქმედობს წყალსაქაჩავების და არსებულ სარწყავ სისტემების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის უკანასკნელი გამოკვლევის მასალების თანახმად აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ და კიბირილიგიმ, რომლებმაც უკვე ახალი მშენებლობა დაიწყეს 1928-29 წლის გეგმის მიხედვით (ის მშენებლობა უშუალო ეფექტს არ გამოიღებს მიმდინარე წელში), შარშანდელი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულეს მხოლოდ 19,7 პროცენტით. ამჟამად წარმოებაშია სამუშაოების 14 პროც. და სრულებით დაუწყებელია 36,3 პროც.

რიონის ნაპირების გამაგრება

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა ეთხოვოს გზათა სახ. კომ. რწმუნებულს ა.-კ-ში მდ. რიონის ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად დაინიშნოს კომისია ამხ. ბ. ჰეჯინაძის თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შემადგენლობით: ამხ. სპრინკევილი (ნავთსადგურების სამმართველოდან), ამხ. კუზნეცოვი (წყალთა სამმართველოდან) და ფოთის აღმასკომის და რკინის გზების სამმართველოს წარმომადგენლები.

მოსალოდნელია თუ არა წელს წყალდიდობა

მოსალოდნელია თუ არა წელს წყალდიდობა ამ კითხვაზე ა.-კ. რკინის გზების ჰიდრომეტეოროლოგიური ნაწილის უფროსმა გ. ჩიროქაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

წრევანდელი ზამთარი მცირე თოვლიანობით ხასიათდებოდა. თუ შევადარებთ წრევანდელი თოვლის სისქეს გასული წლისას — დავინახავთ, რომ მთელს ამიერ - კავკასიაში წელს გაცილებით ნაკლები თოვლი მოვიდა, ვიდრე შარშან.

მდ. რიონის მიდამოებში ამჟამად თოვლი მხოლოდ მაღლობ ადგილებზე დევს, დაბლობში თოვლი აღარ არის. გასული წლის ამ პერიოდში კი იქ თოვლის სისქე 60 სანტიმეტრს აღემატებოდა.

მდ. მტკვარის მიდამოებშიაც ასეთსავე სურათს აქვს ადგილი, მხოლოდ გუდაურის მეტეოროლოგიური სადგურის ცნობიდან სჩანს, რომ იქ თოვლის სისქე 270 სანტ. უდრის, მაგრამ ეს ცნობა მეტად გაზვიადებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იქ ამ დღეებში მძვინვარებდა ქარბუქი და ალბად ამის გამო დაგროვდა ზოგ ადგილებში ამდენი თოვლი.

ყოველივე აქედან აშკარა ხდება, რომ მდ. რიონის მიდამოებში წყალდიდობას კატასტროფიული ხასიათი არ ექნება. ასეთივე ხასიათის იქნება წყალის ადიდება იმ მდინარეებში, რომლებიც გადიან ბათომის რაიონში.

ცალკე უნდა გამოიყოს აღმოსავლეთ საქართველოში მდ. არაგვი და ის პატარა მდინარეები, რომლებიც მიმდინარეობენ კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებიდან. აქ შესაძლებელია საგრძნობი წყალდიდობა.

აზერბეიჯანში თოვლი სრულიად გამდნარია და წყალდიდობაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

სომხეთში თოვლი მხოლოდ ჯაჯურის უღელტეხილზე დევს. იქ თოვლის სისქე 70 სანტიმეტრს უდრის. იქ უსათუოდ თოვლის დნობა დაკავშირებული იქნება საგრძნობ წყალდიდობასთან.

ამის გამო, ამ რაიონში საჭიროა დროზე იქნეს მიღებული გამაფრთხილებელი ზომები.

სომხეთის დანარჩენ რაიონებში წყალდიდობის საფრთხე მოსალოდნელი არ არის.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

საკრედიტო ამხანაგობებიდან წაღებულ სესხის დაფარვა

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოს, ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს და ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიიღონ ზომები, რომ ა.-კ. გლეხურმა მოსახლეობამ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემიდან მიღებულ სესხების მთელი ჯამიდან უახლოეს ხანში დაფაროს არა ნაკლებ 5.500.000 მანეთისა. ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით შემონაკრებ თანხიდან საქართველოში აკრეფილი უნდა იქნეს არა ნაკლებ 2.400.000 მანეთისა; აზერბეიჯანში არა ნაკლებ 2 მილიონ მანეთისა და სომხეთში, არა ნაკლებ 1.100.000 მანეთისა.

საძოვრების საკითხი

მიმდინარე წლის აპრილში ქ. აშხაბადში შესდგება სრულიად საკავშირო თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება მთიანი, სარწყავი და ნახევრად მთიანი ადგილების საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი.

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამუშაოს აღნიშნულ თათბირზე ამიერ-კავკასიის მონაწილეობის საკითხი.

საქ. სახკომსაბჭოში

ამხ. ა. კალანდაძის დანიშვნა

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ვ. მესხი.

ამხ. ა. კალანდაძის დანიშვნა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენლად ა.-კ. რკ. გზების სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში დაინიშნა ამხ. ა. კალანდაძე.

მდ. დურუჯის ნაპირების გამაგრება

წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ ს. ყვარელში მდ. დურუჯის ჯებირების შეკეთება დაამთავროს არა უგვიანეს ა.-წ. მესამე კვარტალის პირველ რიცხვებისა.

საწარმოთა გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომამ საჭიროდ სცნო მიმდინარე წელში 7 საათის სამუშაო დღეზე, გარდა იმ ახალი საწარმოთა, რომელთა ექსპლოატაცია დაიწყება 1928—29 წელში, გადაყვანილ იქნენ შემდეგი წარმოებანი: თელავის ძაფსახვევი ქარხანა მე-4 კვარტალში, ტყავეულობის ქარხანა № 1—რეკონსტრუქციის შემდეგ, სპილენძის სატკეცი ქარხანა—მე-2 კვარტალში, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა—მე-4 კვარტალში, ლიტოგრაფია—მე-4 კვარტ., მე-5 სტამბა—მე-4 კვარტალში, რკინის გზის სტამბა—მე-4 კვარტალში, ბორჯომის მინის ქარხანა —მე-4 კვარტალში და ბორჯომის მინერ. წყლის ქარხანა—მე-4 კვარტალში.

წინადადება მიეცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას დააჩქაროს წარმოებათა შვიდი საათის სამუშაოზე გადაყვანის შესახებ ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის დამუშავება.

ქურთ-ეზიდების დასახლება ახალციხის მაზრაში

წინადადება მიეცა ახალციხის სამაზრო აღმასკომს დააკმაყოფილოს ქურთ-ეზიდების მიწის ნორმით იმ ადგილას, სადაც აღმასკომის განკარგულებით ჩასახლებულნი იყვნენ 1927 წ., ხოლო სამოსახლოები მიუზომოს მათ ქ. ახალციხის ფარგლებში.

გაიხსნა ბაქოს მეშვიდე ბაზრობა

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

გუშინ გაიხსნა ბაქოს ბაზრობა. ამის გამო ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ ბაზრობის კომიტეტს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„გილოცავთ მეშვიდე ბაზრობის გახსნას ახლო აღმოსავლეთის ავანპოსტზე და გისურვებთ წარმატებას სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში. ჩვენთან მეგობრულად განწყობილ მეზობელ სპარსელებთან და სხვა ხალხებთან, რომელთაც სურთ საქმიანი ურთიერთობა ჩვენთან. ვისურვებ, რომ ბაქოს მეშვიდე ბაზრობამ მხედველობაში მიიღოს წინანდელი ექვსი ბაზრობის გაკვეთილები, თავიდან აიცილოს ყველა დეფექტი და ნაკლი და გადაიქცეს შემაკავშირებელ რგოლად საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ხალხთა შორის როგორც ვაჭრობის, ისე კულტურული ურთიერთობის გაცხოველებისა და განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს ბაქოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას მთლიან საბჭოთა კავშირში!

გაუმარჯოს ბაქოს მეშვიდე ბაზრობას!

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დავესწრო ბაზრობის გახსნას.

ა. კ. ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

საშეფო საზოგადოების კვირეული

25 მარტიდან თბილისში ტარდება საშეფო საზოგადოების კვირეული. კვირეულის მიზანია ხელი შეუწყოს საშეფო საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პოპულარიზაციას, საზოგადოების უჯრედების მუშაობის გაჯანსაღებას, საზოგადოებაში ახალი წევრების ჩაბმას და სხვა.

კვირეულთან დაკავშირებით ჩატარდება საშეფო საზოგადოების უჯრედების ბიუროთა გადარჩევა. კვირეულის ჩატარების დროს მოწვეული იქნება საშეფო ორგანიზაციების საქალაქო და რაიონულ საბჭოების სხდომები, რომელზედაც უნდა დაესწროს საშეფო აქტივიც.

თბილისში ყულაბებით ფულის შეგროვება იწარმოებს ოთხი დღის განმავლობაში. ქალაქის ყველა თეატრები, კინოები, გასართობი ადგილები, რესტორანები, ღვინის სავაჭროები კვირეულის სასარგებლოდ დაიბეგრება შემოსავლის 10 პროცენტით.

ჭიათურა

რატომ ეცემა შრომის ნაყოფიერება

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამ უკანასკნელ ხანებში, მეტადრე თებერვლის ბოლო და მარტის პირველ რიცხვებში, შემჩნეულია შრომის დისციპლინის დაქვეითება და შრომის ნაყოფიერების საგრძნობი დაცემა, რაც, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს ჭიათურის მთელ წარმოებაზე და ამცირებს მადანის ამოღებას.

პერევისის მაღაროებში, რომლებიც, საუკეთესოდ ითვლებოდნენ მთელ ჭიათურაში, დაეცა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად შემცირდა მადანის ამოღება. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი სხვა რაიონების მაღაროებშიაც.

ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ გახშირდა მუშაობაზე დაგვიანებით გამოცხადება სამუშაო დღეების გაცდენა, ლოთობა და სხვა.

დაუგდოთ ყური თვით ფაქტებს, თუ რას გვეუბნებიან ისინი:

პერევისის მაღაროებში ერთ დღეს 290 კაციდან არ გამოცხადდა სამუშაოზე 108 კაცი. ამ დღეს აკლდა 89 მგრეველი, 48 მენიჩბე, 11 მებიგე და სხვა. არ მუშაობდა ცხენების საკმაო რაოდენობა, რადგან არ გამოცხადდნენ ცხენების გამყოლებიც.

საგულისხმოა აგრეთვე სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადება.

აი რას ამბობს პერევისის მაღაროების სატაბელო წიგნი: მუშა სიმონ აბრამიშვილმა უმიზეზოდ გააცდინა 8 დღე, გრიშა ნოზაძემ—2 დღე, გიორგი შუბითიძემ დაიგვიანა ხუთჯერ, ლავრენტი ასანიძემ—სამჯერ, კარპე ცარციძემ—ორჯერ, შოთა მახარაძე კი იგვიანებს სისტემატიურად.

ამას გარდა ადგილი აქვს უფრო აღმაშფოთებელ მოვლენებსაც. მუშა ვარდენ მაჭარაშვილმა გააცდინა იანვარში 7 დღე, თებერვალში—8 დღე, მარტში—2 დღე. ეს მუშა ხშირად ცხადდება სამუშაოზე მთვრალი. ვასილ კაპანაძემ სიმთვრალის გამო გააცდინა თებერვალში 4 დღე და, როდესაც იგი ერთხელ მეტაბელემ არ დაუშვა სამუშაოზე, კაპანაძემ ასტეხა ჩხუბი და გალანძღა მეტაბელე.

საჭიროა ასეთ მოვლენებს, რომლებსაც პერევისის გარდა აქვთ ადგილი სხვა მაღაროებშიაც, გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

ამასთანავე საჭიროა, რომ მაღაროების ადმინისტრაციამ მიაქციოს დისციპლინის დაცვის საქმეს უაღრესი ყურადღება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ადმინისტრაცია იჩენს დაუშვებელ გულგრილობას, არ იღებს სათანადო ზომებს მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ, არა სჯის მათ, ვინც არღვევს წესრიგს, და უშლის ხელს მუშაობის ნორმალურად მსვლელობას.

ვერც პროფკავშირი იჩენს საჭირო აქტივობას. მან უნდა მიიღოს სასტიკი ზომები იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან ღვინის სმას მუშათა ბინებში, რასაც ჰქონდა ადგილი პერევისის მუშათა სახლში.

ათისთავები და ზედამხედველები არ უწევენ სათანადო კონტროლს მუშებს მათი გამოცხადების დროს სამუშაოზე, არ ათვალიერებენ მაღაროებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ათისთავები არ ესწრებიან მუშების გასვლას სამუშაოზე.

პროფკავშირებმა, უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა.

ადგილკომებმა და მაღარკომებმა უნდა მეტი დრო მოანდომონ არა საკანცელარიო მუშაობას, არამედ ცოცხალ მუშაობას მუშათა ფართე მასებში.

საჭიროა ადგილკომი დაუახლოვდეს მუშებს, ზედმიწევნით შეისწავლოს თვითეული მათგანი.

აწარმოებდნენ თუ არა ადგილკომები დღევანდლამდე ასეთ ხასიათის მუშაობას? სამწუხაროდ, არა.

ქარხანა-მაღაროების კლუბები, წრეები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, კინო—ყველა ეს საშუალებები არ იყო გამოყენებული მუშების აღსაზრდელად, მათში დისციპლინის და საზოგადოებრიობის გამოსამუშავებლად.

კლუბები თავისი წრეებით აწარმოებდნენ განყენებულ მუშაობას მუშების გასართობათ. ბიბლიოთეკა-სამკითხველოები მეტ წილად დაბანდებული არიან წიგნების გაცემაზე.

სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომმა უნდა მიიღოს ზომები ადგილკომების მუშაობის გასაჯანსაღებლად და ამ მუშაობის წასამართავად ისეთი გზით, რომელიც საჭიროა მუშებში სათანადო შეგნების და პასუხისმგებლობის ჩასანერგავად.

ე. ხუციშვილი.

15 მარტი.
ჭიათურა

ჭიათურის ქრონიკა

მარგანეცის ექსპორტი

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცნობით უახლოეს თვეში (მარტი, აპრილი, მაისი) ჭიათურიდან გატანილი იქნება საზღვარ-გარეთ 224.000 ტონა მადანი.

მარტში გატანილი იქნება 100.000 ტონა, აპრილში—56.000 ტონა და მაისში—68.000 ტონა მადანი.

ამჟამად ჭიათურიდან შორაპნისაკენ გადის ყოველდღიურათ 120 ვაგონი, რომლებსაც გააქვთ 1.572 ტონა მადანი.

მადანზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით, ტრესტმა გამოითხოვა დამატებით კიდევ 60 ვაგონი. ამ რიგად მოკლე ხანში შორაპნისაკენ გავა 180 ვაგონი ყოველდღიურათ და გატანილი იქნება 2.358 ტონა მადანი.

ფოთის ნავთსადგურში ეწყობა მეშვიდე და საჩერებელი მარგანეცის გასატანათ მოსულ გემებისათვის.

—:—

14 მარტს ფოთიდან ბალტიმორაში გავიდა გემი „გენერალი ჩერჩ", რომელმაც წაიღო 8.000 ტონა მადანი.

ფოთში იტვირთება და მოკლე ხანში გავა შემდეგი გემები: „ედერა"—მიდის როტერდამში (ჰოლანდია), წაიღებს 6.300 ტონა მარგანეცს, „იავა"—მიდის გენუაში (საფრანგეთი), წაიღებს 5.200 ტონა მარგანეცს, „მუგელლო"—ანტვერპენში (ბელგია)— წაიღებს 5.500 ტონა მარგანეცს, „პორლეი ოავს"—ანტვერპენში, წაიღებს 6.100 ტონა მარგანეცს, „დუნიტას"—გავა პორტო-ფერანოში (ამერიკა), წაიღებს 6.800 ტონა მარგანეცს.

მოკლე ხანში ფოთში მოელიან გემებს: „ურსულა სიმმერს" (ამერიკა) და „ოლგა სიმმერს" (ამერიკა). ორივე გემი გაიტანს 8.000 ტონა მადანს.

ახალი ქარხანა-მაღაროები

ჭიათურის შავი ქვის ტრესტი შეუდგა ქარხანა № 4-ის (ყოფ. პანასიუკი) შეკეთებას.

მიმდინარეობს იმ მაღაროების შეკეთებაც, რომლებიც საჭიროები არიან ხსენებული ქარხნის ასამუშავებლად.

ქარხანა-მაღაროების შეკეთება დამთავრდება მარტის ბოლო რიცხვებში.

კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს და საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ამა წლის მარტში და აპრილში ჩატარებული იქნება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო (სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი, კოლმეურნეობანი, სარძეო არტელები და სხვ.). და სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოების (გამგეობანი, რწმუნებულები, საბჭოები, სარევიზიო და სადუქნო კომისიები) საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ამ კამპანიას უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე დიფერენციალური საპაიო გადასახადის შემოღება სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. ხელმძღვანელ მუშაკთა შტატის შემოწმებამ, რაც ცეკამ ჩატარა, გამოარკვია, რომ კოოპერატიულ აპარატში ბლომად არიან შეპარულნი კლასობრივად უცხო, გახრწნილი და აშკარად უვარგისი ელემენტები. ხოლო ამავე დროს კოოპერატიულ მუშაკთა შემადგენლობაში სრულიად უმნიშვნელოა მოჯამაგირეთა, ღარიბ გლეხთა და ქალთა ხვედრითი წონა. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ ადგილებში აღნიშნული იყო კლასობრივი ხაზის აშკარა გამრუდება და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის ცუდი ხარისხი.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა პირობებში მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე არის დამოკიდებული კლასობრივი ხაზის შემდგომი წარმატებით ჩატარება და კოოპერაციაზე დაკისრებული ყველა რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება.

ამიტომ მომავალი საარჩევნო კამპანიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მოხდეს კოოპერატიული აპარატის მასიური შემოწმება, გაიწმინდოს იგი კულაკური, ჩინოვნიკური, გაბიუროკრატებულ, გახრწნილ, უვარგის ელემენტებისაგან და მათ მაგიერ კოოპერაციაში ჩაბმულ იქნან მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა და, განსაკუთრებით, ქალთა საუკეთესო ნაცადი წარმომადგენელნი, რომელნიც სარგებლობენ მასების ნდობით და რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ გაატარონ მტკიცე კლასობრივი ხაზი.

ამასთან ერთად საარჩევნო კამპანიას შედეგად უნდა მოჰყვეს მშრომელთა, კერძოდ, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კოოპერაციაში ჩაბმის ტემპის გაძლიერება, კოოპერატიული ორგანოების სამეურნეო და ფინანსიური მდგომარეობის გამაგრება, ღარიბ და საშუალო გლეხთა ბლოკის განმტკიცება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მტკიცე კურსის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განსახორციელებლად ცეკა წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. უზრუნველყოფილ იქნას მეპაიეთა მთელი მასის მონაწილეობა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. გადასინჯულ იქნას ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოთა შემადგენლობა კულაკურ, კლასობრივად უცხო, გახრწნილ და უვარგის ელემენტებისაგან გაწმენდის მიზნით. ამ საქმეში ფართოდ იქნან ჩაბმულნი ღარიბი მეპაიენი. ღარიბთა ჯგუფებში და ღარიბ გლეხთა ჯგუფურ კრებებზე მოეწყოს კოოპერაციის ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოებში წამოყენებული კანდიდატურების წინასწარი განხილვა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ელემენტების და საშუალო გლეხთა და ქალთა საუკეთესო ნაწილის დაწინაურების გაძლიერებას. ამავე დროს აღებულ იქნას გეზი კომუნისტური ფენის გაძლიერებისაკენ, რისთვისაც ამ [illegible] იგზავნონ პარტიის და კომკავშირის [illegible] წევრები.

2. მეპაიეთა შორის დაიწყოს ახსნა-განმარტებითი კამპანია დიფერენციალური საპაიო გადასახადის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ. მიღებულ იქნას ისეთი მდგომარეობა, რომ ამ ღონისძიებას ფართოდ შეუწყონ ხელი ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენებმა, რისთვისაც ეს საკითხი წინასწარ განხილულ იქნას ღარიბ გლეხთა ჯგუფებში და ჯგუფურ კრებებზე, ხოლო შემდეგ გადატანილ იქნას მეპაიეთა საერთო კრებაზე. ამასთან ერთად საარჩევნო კამპანიის პერიოდში გაძლიერდეს მუშაობა წევრთა საპაიო და საკრედიტო დავალიანების ლიკვიდაციისათვის და კოოპერაციაში გლეხობის დაზოგვილი თანხების მოზიდვისათვის ანაბარებისა და მიზნობრივი ავანსების სახით.

3. საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას კოოპერაციაში და კოლექტიურ მეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა ფენების უფრო ფართოდ ჩასაბმელად. სრულად გამოყენებულ იქნას ღარიბ გლეხთა კოოპერატიულად შეკავშირების ძველი ფონდების ნაშთები და კოოპერაციის მოგებიდან გადაირიცხოს 15 პროცენტი ღარიბ გლეხთა ახალი ფონდების შესაქმნელად.

4. მოჯამაგირეთა და ხელმოკლე გლეხთა ფენების საწარმოო კოოპერაციაში გაძლიერებულ ჩაბმასთან ერთად ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობათა თვისობრივ გაუმჯობესებას მათი გაფართოვებისა და ორგანიზაც.-სამეურნეო განმტკიცების მიმართულებით. გამოაშკარავებულ და აღმოფხვრილ უნდა იქნას კოლმეურნეობათა მშენებლობის ყველა დეფექტი და სრულიად უნდა განხორციელდნენ ის ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რაც დასახულია კოლმეურნეობების წინაშე მოსავლიანობის გადიდებისა და მახლობელ გლეხობაზე აგრიკულტურული ზეგავლენის მოხდენის საქმეში. კოოპერატიულმა საზოგადოებრივობამ სალი თვითკრიტიკის საფუძველზე ყურადღება უნდა მიაპყროს ყველა დეფექტის გამოაშკარავებასა და აღმოფხვრას და ისეთ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელნიც ხელს უწყობენ საწარმოო კოოპერაციაში გლეხობის ჩაბმას, სოფლის მეურნეობის განვითარებას და მოსავლიანობის გადიდებას, აგრეთვე შეუძლებელს ხდიან იმას, რომ მომავალში კოოპერატიული ორგანოების მუშაობაში გამრუდდეს კლასობრივი ხაზი.

6. მთელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას გაუწიოს მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა, ამ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩაებან კოოპერატიული აქტივი და სოფლის სხვა ორგანიზაციები. ამავე დროს გადამჭრელი და ორგანიზაციული წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კულაკებსა და ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომელნიც ცდილობენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ კოოპერაცია.

მუშაობა არჩევნების ირგვლივ უნდა დამთავრდეს აპრილის დამლევს, ხოლო მაისის პირველ ნახევარში ცეკას უნდა წარუდგინონ ანგარიში არჩევნების შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **კახიანი.**

სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე **არუთინოვი.**

თათბირი სას.-სამეურნეო გადასახადის შესახებ

გუშინ საღამოს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა თათბირი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ. თათბირზე მონაწილეობას იღებენ საქართველოს მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების ფინორგანოების, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს და სხ. დაინტერესებულ ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენლები. თათბირი გახსნა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. ვაშაძემ.

ამხ. გ. ვაშაძის სიტყვა

ამხ. გ. ვაშაძემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში სასოფლო სამეურნეო გადასახადის საქმის სწორად დაყენებას და ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ერთი გადასახადი არ მოითხოვს ისეთ სიფხიზლეს როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ვინაიდან ეს ერთად ერთი გადასახადია რომელიც იკრიბება სოფლის მოსახლეობას, გლეხობის შორის და იგი მთლიანად უნდა იქნეს აგებული წმინდა კლასობრივ პრინციპზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში წარსულში ჩვენ გვქონდა ბევრი შეცდომები, რაც ნაწილობრივად გამოწვეული იყო თვით კანონის ნაკლოვანებით. მაგრამ ამ შეცდომების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ ამ საქმისადმი.

ამ საქმეს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს დღევანდელმა ჩვენმა თათბირმა, რომელიც მოწოდებულია ანალიზი გაუკეთოს წარსულ მუშაობას, შეისწავლოს მისი დეფექტები და დასახოს მომავალი მუშაობის უფრო სწორი გზები.

ამხ. გ. ლომთათიძის მოხსენება

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარსული პრაქტიკის და მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას. სამ. განყოფილების გამგემ ამხ. გ. ლომთათიძემ.

მიუხედავად ამისა,— ამბობს მომხსენებელი,—რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სას. სამ. გადასახადს აქცევს უდიდეს ყურადღებას და ყოველ ღონეს ღებულობს, რომ ეს კანონი დაუზარალოს მშრომელი გლეხობის ინტერესებს, რესპუბლიკანურ ცენტრის და ადგილებზე, ამ საქმის სათანადოდ დასაყენებლად ჯერ კიდევ არ არის მიღებული საჭირო ზომები.

სას.-სამ. გადასახადის კანონში გასულ წელს შეტანილი ცვლილება და საერთოდ მთელი კანონი მოითხოვდა ფართო პოპულარიზაციას. ნამდვილად კი ამ საქმისთვის არაფერი გაკეთებულა გარდა ერთი ბროშიურისა და რამოდენიმე წერილისა, რომლებიც მოთავსებული იყო ადგილობრივ გაზეთებში. თუ რესპუბლიკის ცენტრი დაკმაყოფილდა ამ მეტად მცირე ზომებით, ადგილებზე მომუშავე ფინმუშაკებმა და საერთოდ ადგილობრივმა მუშაკებმა კიდევ უფრო მეტი გულგრილობა გამოიჩინეს—არ შეეცადნენ თვითონ შეესწავლათ კანონი და განემარტათ იგი გლეხობისათვის. ამ გარემოებას დაემატა გაუგებრობა, რომელიც გამოიწვია ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ არეულად დაგზავნილმა ცირკულიარებმა. ყველა ამ მიზეზების გამო კანონის ზოგიერთი მუხლი ადგილების მიერ ვერ იქნა სწორად გაგებული და ამ კანონის განხორციელების დროს დაშვებული იქნა მთელი რიგი შეცდომები. განსაკუთრებით დიდი შეცდომები დაშვებული იყო დასაბეგრ ობიექტის აღრიცხვაში (ზოგან აღრიცხული იქნა ისეთი შემოსავალი, რომელიც სრულიად თავისუფალია გადასახადისაგან, ზოგან კი აღურიცხავი დარჩა მეტად მნიშვნელოვანი დასაბეგრი ობიექტები) და ინდივიდუალური წესით დაბეგვრაში.

ამ შეცდომების გამო მთელ რიგ მაზრებში საჭირო შეიქნა მუშაობის ხელმეორედ ჩატარება და დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

ახალი კანონი კიდევ უფრო მეტ უფლებებს ანიჭებს ადგილებს და სას.-სამ. გადასახადის სისტემას უყენებს იმავე მოთხოვნილებებს, როგორც ეს იყო 1928—29 წელში. შეტევა კულაკზე და მაქსიმალური შეღავათი ღარიბებს. გარდა ამისა, მთელი რიგი კულტურები სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან; ამასთანავე ის მეურნეები, რომლებიც გაადიდებენ ნათესების სივრცეს და მოსავლიანობის გასადიდებლად მიიღებენ აგრონომიულ ღონისძიებებს, ენიჭებათ საგრძნობი შეღავათები.

ამხ. გ. ლომთათიძის მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა თანამოხსენებები ადგილებიდან. კახეთის მაზრიდან თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. მატინოვი; ქუთაისის მაზრიდან —ამხ. ზერიძე და აჭარისტანიდან ამხ. გამყრელიძე.

სასამართლო

„თავჩაღუნული და მუხლმოდრეკილი"

„...სოციალისტური რევოლიუციის სამართალი მეტად კაცთმოყვარული და ადამიანური მიდგომისაა... მით უმეტეს იგი კაცთმოყვარული უნდა იყოს თავისივე შემცდარი შვილის მიმართ, რომელიც მონანიებული, ცრემლიანი და მუხლ-მოდრეკილი ითხოვს პატიებას"...

ასე სწერს თავის საკასაციო საჩივარში საქ. უზენაეს სასამართლოს სახელზე მოქ. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გიორგაძე.

[illegible] „რევოლიუციის შვილი" და მერე რა შვილი!?

აბა შეხედეთ, როგორ გამოიყურება ნიკოლოზ გიორგაძე! მაშინ მიხვდებით რაც „შვილი" არის იგი და რას უნდა მოელოდეს მისგან ჩვენი საზოგადოებრიობა.

არც ისე გამოუცდელი და ახალგაზრდაა ნიკოლოზ გიორგაძე. იგი ყოფილი წითელი მეთაური გახლავთ. უკანასკნელად მას კვლავ საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა: იყო ხრესილის სახალხო სასამართლოს მდივანი, ამავე დროს შეთავსების სახით ასრულებდა ადგილობრივ კომუჯრედის მდივნის მოვალეობას.

„თავჩაღუნულო და მუხლმოდრეკილო" ის არავის უნახავს ოდესმე. პირიქით, თავსაც და ცხვირსაც ძალიან მაღლა სწევდა.

მაგრამ შემთხვა ერთი უბედურება გიორგაძეს, „შემოუხარჯა" სასამართლოს „ბუხუტები", კარგად მოგეხსენებით, რომ შემთხვევით შემოხარჯულ ფულს ზოგიერთი „გამოუცდელი" და „უხტომ" გამფლანგველი ჯამაგირით ავსებს, არ უნდა გაიფუჭოს სახელი, ცდილობს პირნათლად გამოვიდეს.

გიორგაძემ კი გაფლანგული ფულის დაფარვა ითაკილა. მან გადასწყვიტა არც ფული გადაიხადოს, არც სახელი გაიფუჭოს და პირნათლადაც გამოსულიყო რევიზიის წინაშე.

არა სასიამოვნო სტუმარი — რევიზია ხომ არასოდეს არ დაეძებს მიღების საათებს, არ უწევს ანგარიშს ვინ როგორ ხასიათზეა.

გიორგაძემ გაიგო, რომ თბილისიდან მიუწერია ინსპექტორს რევიზიის მუშაკი, რომელიც ჩამოივლის და გადასინჯავს ადგილობრივ სასამართლო ორგანოების საქმიანობას. ისედაც ცუდ ხასიათზე იყო ნიკოლოზ გიორგაძე და ამ ამბავმა უფრო მეტად დაღონა.

მიუხედავად ამისა გიორგაძე „თავჩაღუნული და მუხლმოდრეკილი" მაინც არ შეხვდა ამ ამბავს. მან მაშინვე შეადგინა გეგმა მისათვის, რომ სახელი არ გაეფუჭებინა და პირნათლადაც გამოსულიყო და ამ მიზნით, რომ მას სახელი არ გაეფუჭებია, გიორგაძემ ყველაფერი გააფუჭა ხრესილის სასამართლოში: გააფუჭა თავისი მაგიდის უჯრა, გააფუჭა სასამართლოს შენობაში შესასვლელი კარები, გააფუჭა სასამართლოს თაროები და სხვა...

ეს მოხდა გასული წლის ივნისის შუა რიცხვებში. 14 ივნისს ხრესილში ხმა გავარდა სასამართლოს გაძარცვის შესახებ. ადგილობრივმა მილიციამ ასეთი სურათი ნახა, როცა გამოცხადდა სასამართლოს შენობაში: იატაკზე ნაკუწ - ნაკუწებად ეყარა სასამართლოს საქმეები, წიგნები და დავთრები, ოთახში მდივნის მაგიდის სალარო იყო დასახიჩრებული. ერთი სიტყვით უდავო იყო მძარცველთა თავდასხმის ნიშნები.

ნიკოლოზ გიორგაძეც იქვე იდგა თავზე ხელშემოხვეული და გულ შეღონებული პირისფლიდით ოხრავდა სხვების დასანახად.

გულქვა რევიზორი მაინც არ შევიდა დაღონებულ „ქირისუფლის" მდგომარეობაში, არ გაიზიარა მისი მწუხარება და დასვა საკითხი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გიორგაძის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დაიწყო საქმის გამოძიება და თვითონ მდივანმა გიორგაძემ აღიარა ყველაფერი, რაც მას ჩაედინა. სთქვა, რომ გაფლანგვის კვალის დასაფარავად მან თვითონ მოაწყო სასამართლოს გაძარცვის სიმულაცია. აღსანიშნავია ის, რომ გიორგაძემ კალათით წაიღო თავის სახლში სასამართლოს საქმეები, წიგნები, მარკები და გადამალა, ხოლო როცა საქმე მწვავე ხასიათი მიიღო და გიორგაძის დაპატიმრება აუცილებელი იყო, მასვე დაუწვავს ყველა ეს საბუთები და ნაწერები.

ნიკოლოზ გიორგაძე გაასამართლა ქუთაისის საოლქო სასამართლომ ამხ. ე. ებრალიძის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით სასტიკი იზოლაციით.

გიორგაძემ საკასაციო საჩივარი აღძრა უზენაეს სასამართლოს წინაშე და, როგორც ზემოთ ვსწერდით, „თავჩაღუნული და მუხლმოდრეკილი" ითხოვს პატიებას.

უზენაესი სასამართლო ამ დღეებში გაარჩევს საჩივარს,

ბეჩ.

ქრონიკა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ყრილობა

4 აპრილისათვის თბილისში მოწვეულია საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის რესპუბლიკანური ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 2) თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო ხასიათის მუშაობა, 3) თავდაცვა ავიაქიმის მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში და სხვა.

მუშა-ფეიქრების მომზადება

მიმდინარე წლის განმავლობაში გადაწყვეტილია მომზადებულ იქნეს 250 მუშა-ფეიქარი. მუშების ერთი ნაწილი გაგზავნილი იქნება მოსამზადებლად საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის რაიონებში, ხოლო მეორე ნაწილი გაიგზავნება სამუშაოდ ქუთაისის მაუდის ქარხანაში.

მუშების ჯგუფებად დანაწილებას და მათ დაგზავნას უხელმძღვანელებს ს. მ. უ. ც. შრომის ეკონომ. განყოფილება.

საქონლის მიღება უცხოეთიდან

„ზაკგოსტორგი“-ს ცნობით, ბათომში მოვიდა გემი „კარლ მარქსი“, რომელიც ჰამბურგიდან გამოვიდა 6 თებერვალს. გემით „ზაკგოსტორგი“-ს სახელზე მოსულია ელექტრომოწყობილობა, სალებავები, ფოტოგრ. მასალა, კაკაო, სექიმო აპარატურა და სხვ.

კვერცხის ბაზარზე

უკანასკნელი დროის განმავლობაში კვერცხის ფასებმა საგრძნობლად აიწია. კვერცხის ფასების მოწესრიგების მიზნით უახლოეს დღეებში ბაზარზე გამოტანილი იქნება 5 ვაგონი კვერცხი.

ხორბლის შემოტანა

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა მარტის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოიტანოს 18.000 ტონა ხორბალი. ამ რაოდენობაში შედის ბამბის მეურნეთა საჭიროებაც.

65 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა

„ცენტროსოიუზი“ მარტის განმავლობაში ამიერ-კავკასიის კოოპერაციას გადმოუგზავნის 65 ვაგონ ბამბეულ მანუფაქტურას.

მიწადმოქმედების კომისარიატში

◆ **დოლის მოწყობა.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცხენთაშენის სამმართველოს ცნობით, აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში დაიწყება დოლი. დოლზე მონაწილეობის მისაღებათ ჩამოიყვანენ ცხენებს აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან და დაღესტანიდან.

◆ **2000 მანეთი მეფუტკრეებს.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატისა და „სოფლის კავშირის“ შეთანხმებით გადაწყვეტილია მეფუტკრეებს დაურიგდეს სესხის სახით 2000 მანეთი ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

სხვადასხვა

◆ **მუშა-მსმენელების კონფერენცია.** ოთხშაბათს, 20 მარტს, საღ. 6 საათისათვის თბილისის ალმასკომის წითელ დარბაზში მოწვეულია მაღალი ტიპის მუშათა სკოლებას მსმენელთა საქალაქო კონფერენცია.

◆ **„ყურანი და არაბული კულტურა“.** დღეს, ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში შესდგება ამხ. ბოლოტნიკოვის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ყურანი და არაბული კულტურა“.

◆ **საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების კონფერენცია.** დღეს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში საღ. 6 საათზე გაიხსნება საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების პირველი კონფერენცია.

◆ **წყალდიდობა.** წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიაში მიღებული ცნობებით, ადგილებზე მდინარეებმა უკვე დაიწყეს ადიდება.

◆ **შაბათს, 16 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე** საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქ. საფსიქოლოგიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებას გააკეთებს ზოსიმე ხოჯავა: „სტანდარტების საკითხი ბინე-სიმონის მეთოდის ქართულ რედაქციაში“. დასწრება თავისუფალია.

◆ **კვირას, 17 მარტს, სახელმწ. უნივერსიტ. ჰოსპიტალ. ქირურგ. კლინიკაში** (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) შესდგება ქირურგ. კლინიკების დასტაქართა კონფერენციის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: 1) პროფ. გრ. მუხაძე და ექ. კოკოჩაშვილი—„კლინიკის დაკვირვებანი ავერტინის ნარკოზის შესახებ“. 2) ასისტ. ცხაკაია—„ბარძაყის თიაქრის რადიკალური ოპერაციას რუჯის მეთოდით“, 3) ავადმყოფების და პრეპარატების დემონსტრაცია. დასაწყისი დღის 12 საათზე.

◆ **სოფლის ახალგაზრდობის სკოლების** და აგრო-ტეხნიკუმების აგრონომ-მასწავლებელთა კონფერენცია დილის 9 საათის მაგივრად გაიხსნება ამავე დღეს საღამოს 6 საათზე.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** რემედასის წევრთა საერთო კრება შესდგება დღეს 16 მარტს, საღ. 5 საათზე.

◆ **შაბათს, 16 მარტს, საღამოს 7 საათზე ს. ს. პ. ი.** სამთო ქიმიურ ფაკულტეტის დიპლომანტი ნიკოლოზ ბიჭანიშვილი დაიცავს სადიპლომო სამუშაოს. დაცვა საჯაროა.

◆ **შაბათს, 16 მარტს, ცეკა აგიტპროპის კაბინეტის დარბაზში** საღ. 6 საათზე შესდგება მკითხველთა კრება, რომელზედაც ამხ. კ. ლორთქიფანიძე წაიკითხავს თავის ახალ მოთხრობას „პირველი დიდი“-ს. კამათში მკითხველებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ პროლეტარული მწერლები.

ხელოვნება

საოპერო წარმოდგენები რკინის გზელებისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის კულტგანყოფილებამ ხელშეკრულება დასდო თბილისის სახელმწიფო ოპერის მსახიობთა კოლექტივთან რომლის ძალით აქტივმა უნდა დასდგას ოპერები უფასოდ ხაზზე მომუშავე რკინის გზელებისათვის თბილისში, ბათომში, ფოთში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ადგილებში.

კოლექტივი შესდგება ასი მსახიობისაგან. ოპერები ადგილებზე დადგმული იქნება ისეთივე ანსამბლით, დეკორაციებით, კოსტიუმებით, რეკვიზიტით და ბუტაფორიით, როგორც თბილისის ოპერის თეატრში.

ოპერები დაიდგმება რკინის გზელთა კლუბებში, ხოლო სადაც ასეთები არ მოიპოვება თეატრის შენობაში.

ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა თხოვნით მიმართა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას დაუთმოს კოლექტივს უფასოდ სამი თვით ორი ვაგონი და მისცეს მას უფლება გადაზიდოს ბარგი იმ მატარებლებით, რომლებსაც მიუბამენ ამ ვაგონებს.

ოპერის მსახიობთა კოლექტივი წარმოდგენებს გამართავს სოხუმშიაც.

ახალი დადგმები რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრი ამჟამად ამზადებს ვ. სამსონიძის პიესას „შეთქმულება“ და ვს. ივანოვის „ბლოკადა“-ს; ეს უკანასკნელი ამჟამად მიდის მოსკოვის პირველ სამხატვრო თეატრში, სადაც მისმა დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მზადდება აგრეთვე ზოგიერთი სხვა პიესებიც.

„შეთქმულება“ ნაჩვენები იქნება ახლო ხანში.

—:—

სახელმწიფო ოპერაში

სახელმწიფო ოპერის დირექცია შეუდგა წინასწარ მოლაპარაკებას ზოგიერთ მომღერლებთან მათი მოწვევის შესახებ მომავალ სეზონში. მაგალითად, თბილისში ჩამოსვლაზე თანხმობა განაცხადეს ქ. დერჟინსკაიამ ([illegible]), ნ. პეჩკოვსკიმ (მთელი სეზონი) და სხვებმა.

იანვრის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოსვლას აპირებს მოსკოვის რევოლუციის თეატრი, რომელიც ფიქრობს თავის გასტროლებისათვის გამოიყენოს სახელმწიფო საოპერო თეატრი.

შემთხვევები

ხულიგნების დაპატიმრება

ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის თითო თვით დააპატიმრა — სევასტიანეს ძე ხაჟომია, იოსებ მაქსიმეს ძე ხაჟომია, კონსტანტინე ერმილეს ძე გელენიძე, სერგო არსენის ძე მოწონელიძე, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ხავთასი, გიორგი სიმონის ძე ჩერქეზიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), ვლადიმერ მიხეილის ძე ერხარი; ორ-ორი კვირით — რუდოლფ იაკობის ძე ბუში, სერგო ლეონტის ძე კეკელიძე, რუბენ პავლეს ძე გევანდოვი, ვარაზდატ გარნიკის ძე მალხასიანცი, სერგო ტელავის ძე დუდაშვილი, მიხეილ ტელავის ძე დუდაშვილი, ვლადიმერ ნიკოს ძე კობაიძე, ტრიფონ ივანეს ძე ქებულარია, ლევან გიორგის ძე მარქაროვი, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე შებლიკინი, ნიკოლოზ გიორგის ძე კოლხიდაშვილი, თომა დაშტოიანის ძე ავდალოვი, ათ-ათი დღით — სურენ არტემის ძე ცამერიანი, მურად გასპარის ძე მნაცაკანოვი, ეგიაზარ მიხეილის ძე ეგიაზარიანცი; სამი თვით — ვალერიანე მარტიროსის ძე მარქაროვი (ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი).

ქურდი კბილის ექიმი

გ.-წ. ოქტომბერში ვიღაც ბოროტმოქმედმა გაქურდა ა. რაფაევას ბინა (ფ. მახარაძის ქ. № 5), საიდანაც წაიღო ერთი ოქროს მაჯის საათი. სათანადო თვალყურის დევნების შემდეგ ქურდი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ამავე სახლში მცხოვრები კბილის ექიმი — ზინაიდა ლვოვის ასული ვოლფზონი, რომელიც საათის მოპარვის შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში. დაპატიმრებისას ვოლფზონს ნაქურდალი საათი მაჯაზე აღმოაჩნდა.

„უქსის აგენტი“

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გიორგი ვასილის ძე ხიზანაშვილი, რომელიც დაიარებოდა ბინებზე, მდგმურებს ეცნობოდა, როგორც უქსის აგენტი და „მუშაობის“ დროს იტაცებდა სხვადასხვა ნივთებს.

უკანასკნელად ხიზანაშვილმა 20 მანეთი და რედიკული მოჰპარა ნინა ბელიაევას (მცხ. კალინინის ქ. № 74). სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, ხიზანაშვილს აქვს აფერისტობის და თაღლითობის 18 რეგისტრაცია.

სამი ქალის დაკარგვა

28 თებერვლიდან სახლიდან გავიდნენ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ — ევდოკია პეტრეს ასული კოლიუხოვა, თამარა გზიშვილი (ბაქოს ქ. № 16) და ტატიანა მიხეილის ასული ჩაბავა.

მკვლელობა

სოფ. კაკაბეთში (კახეთის მაზრა) სოსია უამიერაშვილმა ბარის თავში დარტყმით მძიმედ დასჭრა სოფ. ჩაილურის მცხოვრები იოსებ გძელიშვილი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინ იოდით თავი მოიწამლა თამარა ბაგრატის ასულმა თუშიშვილმა (მცხ. იურიევის ქ. № 27), რომელიც სიკვდილს გადაურჩა. თავის მოწამვლის მიზეზი — ოჯახური უსიამოვნება.

ჩემოდანის გატაცება

დაპატიმრებულია მიხეილ ნიკოლოზის ძე ნაბიაშვილი, რომელმაც ამას წინად თბილისის სადგურში ვიღაც მოქალაქეს გამოსტაცა ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7.

გაფლანგვა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სატრანსპორტო კოოპერატიული ნადი „მზიდავი“-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დავით გრიგორის ძე აბდუშელიშვილი, რომელმაც მიითვისა 408 მანეთი.

მთვრალი კაცის გაქურდვა

მთვრალ ს. ი. მარტინოვს ვიღაც ბოროტმოქმედმა ფილხანზე ძილის დროს გახადა ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჯიბიდან ამოაცალა 15 მანეთი ფულად, 200 მანეთის ობლიგაციები და მიიმალა.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ილია ბერიძის ბინა (ლომინაძის ქ. № 12), წაიღეს 600 მანეთის ტანსაცმელი. — გაქურდეს უმუშევართა კოლექტივის საკანდიტერო (პლეხანოვის პროსპ. № 130). — გაქურდეს ფეხსაცმელების სახელოსნო (მე-8 სამილიციო უბანში), წაიღეს 70 მანეთის ნივთები. — მუშკოოპის მაღაზიაში (ლ. დუმბაძის ქუჩა) ვიღაც უცნობმა პირმა მოიპარა ერთი ნაჭერი აბრეშუმი.

გოგირდი და შაბიამანი

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ვენახების სამკურნალოდ ამიერ-კავკასიისათვის საზღვარგარეთ შეძენილია 2.600 ტონა გოგირდი. გოგირდის მეტი ნაწილი უკვე მიღებულია, ხოლო დანარჩენი ნაწილი მიღებული იქნება ახლო მომავალში.

წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ვენახებისათვის საჭიროა 3.300 ტონა შაბიამანი. ჯერ-ჯერობით მიღებულია შაბიამანის საჭირო რაოდენობის 40 პროცენტი.

რკინის გზებზე

თათბირი

20 მარტს რკინის გზების ცენტრალურ მმართველობასთან იხსნება რკინის გზების წარმომადგენელთა თათბირი საქონლის მატარებლების მოძრაობის საკითხებზე.

უბედური შემთხვევა

13 მარტს გურჯაან-კარდახახის შუა მატარებელმა № 81 გასრისა კახეთის მაზრის, სოფ. კოხდოლის მცხოვრები 60 წლის გლეხი კოტე ზაქარიას ძე ქიქაძე.

ქიქაძე მიდიოდა ლიანდაგზე. მემანქანემ შეამჩნია იგი და მისცა გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგრამ ქიქაძემ ვერ გაიგონა და განაგრძო გზა. მხოლოდ მატარებლის მიახლოებისას შეამჩნია მან საფრთხე და დააპირა ლიანდაგიდან გადასვლა, მაგრამ ველარ მოასწრო და მოჰყვა მატარებელს ქვეშ.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 16 მარტი

დღეს რადიო-გადამცემი სექტორი, თბილისის რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

ოქტომბრელის საათი ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის“ — „კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კოლმეურნეობებში“ —ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; პოპულარული კონცერტი (გადაცემული იქნება ქართული ხალხური სიმღერები), საუბარი პროფესიონალური მოძრაობის საკითხებზე—„ვის აწინაურებენ პროფკავშირები წარმოებებში და რა დახმარებას უწევენ დაწინაურებულებს ქართულ ენაზე; ქართული დრამის ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრიდან გადაცემული იქნება პიესა „ლიანდაგი გუგუნებს“); უკანასკნელი ცნობები.

პარტიული კალენდარი

კვირას, 17 მარტს, დილის 11 საათზე ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საპროპაგანდო-საგიტაციო განყოფილებაში ამხ. იონოვის კაბინეტში შესდგება თათბირი შემდეგ საკითხზე: მებრძოლ მატერიალისტების-დიალექტიკოსების საზოგადოების დაარსება. თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ბოლოტნიკოვი, მ. ტოროშელიძე, კ. მეგრელიძე, ა. ერქომაიშვილი, ა. მელიქიძე, არშავირ მელიქიანი, შ. დუდუჩავა, ა. ჭეიშვილი, ასლანიანი და იზმაილოვი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის კ. პ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღის, შაბათს, 16 მარტს, დილის 9 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. წევრთა და კანდიდატთა დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ.

—:—

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 16 მარტს, საღ. 6 საათზე შესდგება მსუბუქი კავალერიის საერთო კრება. წევრთა დასწრება სავალდებულოა. გაირჩევა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის (მეოთხე უჯრედი) ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, 16 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე. 5 ნახ. საათზე კი შესდგება ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ეკატერინე და იოსებ მაჭავარიანი შვილებით და მიხეილ მდივანი ოჯახობით იუწყებიან, რომ კვირას, 17 მარტს, 12 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას

განდეგილის
(დომინიკა ზურაბის ასული ერისთავი-მდივანისა)

ხსოვნის აღსანიშნავად. 847

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის მილიციის ბიურო—კოლექტივი, პარტიის წევრები და ლ.ა.კ.კ. წევრები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 13 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა ს. კ. პ. (ბ) ძველი წევრი ცხენოსან რაზმის თანამშრომელი

გერასიმე დავითის-ძე ოდიშარია

გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან შაბათს, 16 მარტს, საღამოს 4 საათ. სადგურში. 855

თბილისის მ/გ. მილიციის ცხენოსანი რაზმი მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-მეგობრებს, რომ 13 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა რაზმის თანამშრომელი

გერასიმე დავითის-ძე ოდიშარია

გამოსვენება შაბათს, 16 მარტს, 4 საათ. ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან—სადგურში. (შ)

ალმასკომის ადგანყოფილება მწუხარებით იუწყება მათ ურთგულეს თანამშრომელის, პარტიის წევრის

გერასიმე დავითის-ძე ოდიშარიას

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება მოხდება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან 16 მარტს, 4 საათზე—სადგურში. 856

დამწუხრებული ქმარი ლავრენტი, დედა თეკლე, ძმა გიორგი, დები: ლუბა, ნინა და თამარა თევზაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 14 მარტს, ქალ. სამტრედიაში გარდაიცვალა პირველის საყვარელის ცოლი, მეორეთა და

ლუბა სტეფანეს ასული
ტორონჯაძე-თევზაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქალ. სამტრედიაში, კვირას, 17 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ბათომის ქუჩა № 13. ბ. 2403

დამწუხრებული დედა ალათი, ძმა იონა, რძალი ცუცუნა ტორონჯაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, მათთვის საყვარელ შვილის და დის

ლუბა სტეფანეს ასული
ტორონჯაძე-თევზაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალ. სამტრედიაში, კვირას, 17 მარტს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ბათომის ქუჩა № 13. ბ. 2403

დამწუხრებული სიძე კალე და დუნია რუსიები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ მათთვის საყვარელ დის

ლუბა სტეფანეს ასული ტორონჯაძე-თევზაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალ. სამტრედიაში, კვირას, 17 მარტს, საკუთარ ბინიდან, ბათომის ქუჩა № 13. ბ. 2403

ნინო ივანეს ასული და იოსებ ილიას-ძე ჩიტოშვილები, შვილებით: შალვა, ილია, დავითი და ზურაბი მწუხარებით იუწყებიან

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

გარდაცვალებას. 849

თავზარდაცემულნი მშობლები: ივანე და თებრო, თამრო გოგებაშვილი, ძმა ნიკოლოზი, რძალი ნინო შვილებით ნატო და რევაზით, და ლუბა სესიაშვილები იუწყებიან სახ. უნივერსიტ. აგრ. ფაკულტ. კურსდამთავრებულ სტუდენტის

ალექსანდრე ივანეს-ძე
სესიაშვილის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი—დღეს, 6 საათზე, გამოსვენება 17 მარტს, 1 საათზე, ნიკოლაძის ქ. № 17. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 850

შვილები: პარმენ, სერგო, ვიტოლი და თეოლინე, ძმა სესია, რძლები—სონა, ოლია და შურა, დები: თეოდოსია და ლეოკადია იუწყებიან, რომ 14 მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ზაქარია ბიჭიას-ძე ლეჟავა

დაკრძალვა 17 მარტს, 4 საათზე ჭიათურაში, გამოსვენება—საკუთარ ბინიდან სასაფლაოზე. ბ. 2402

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ვარლამი, მიხაკო და დომნა იმნაძეები, რძლები ლეო და ქსენია, სიძე პლატონ ჩაჩანიძე, შვილიშვილები: დარეჯანი, [illegible], თინა, მამია, გაიოზი, ნელი და მაყვალა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 14 მარტს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

დესპინე ხოსიას ასული
იმნაძისა

დასაფლავება ა. წ. 17 მარტს, კვირას, 2 საათზე. ქ. ლანჩხუთში. 857

მეუღლე ეფემია შვილებით, რძალი მარიამი შვილებით, სიძე გიორგი მაჭარაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

იოსებ იოსების-ძე გველესიანის

ხსოვნის აღსანიშნავად, შაბათს, 16 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე საფლავზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 844

გაუბედურებული დედა ესმა ჩიკვაიძისა, დები ანიჩკა შვილებით და მარო, სიძეები აფრასიონ და იოსებ პეტრიაშვილები იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარი

სიმონ ყაფლანის-ძე ჩიკვაიძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 16 მარტს, 12 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 846

დამწუხრებულნი: მეუღლე სიმონი, შვილები ექიმი კოსტანტინე, ოლღა, ლეონინა, სიძეები: თომა და არტემი, შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ანასტასია ივანეს ასული ცაგარეიშვილისა

დაკრძალვა კვირას, 17 მარტს, 3 საათზე. ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება—ქუთაისი—ორჯონიკიძის ქუჩა № 78. 841

დამწუხრებული მშობლები: ოლია, სეფე, ბიძები: სერგო, სილიბისტრო, შალიკო და ვარლამ მარგველაშვილები—ცოლ-შვილით, მამიდა პუპულა; ბიძა ნესტორი—შვილებით (შავრაშიძეები) მწუხარებით იუწყებიან

აჩიკო სეფეს-ძე მარგველაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 17 მარტს, 3 საათზე, საფ. სასაფ. გამოსვ. როზევეიის ქ. № 7. ბ. 2398

კვირას, 17 მარტს, ხოჯივანქის სასაფლაოზე, დღის 12 საათზე, ძველი რევოლუციონერის

ალექსანდრე გიორგის-ძე იტრიევის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი მეუღლე სოფიო, შვილები: მარიამი, გრიშა და სერიოჟა; დები: ეკატერინე, სოფიო და მარიამი. 840

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარო, მამა ბაგრატი, ბებია მაშო და ქეთევანი; ბაბუა მარკოზა დემეტრაშვილი; ბიძები: შალიკო, რაჟიკო; მამიდეები: ვალენტინა, სონია და თამარა; სიძე ალექსი ტაბატაძე; ბიცოლა სარა; ბიძაშვილი ლიუბა დიდის მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

კუკური ბაკურაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას—17 მარტს, 3 საათზე, საბჭოთა ქ. № 47. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2—1 842

ბარბარე აბელის ასული ვასილიევისა ქალით ქეთინოთი აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და თანამშრომლებს, რომ მისი დაუვიწყარ ქმრის პროფესორ ინჟინერ-ტეხნოლოგის

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის
ვასილიევის

ხსოვნის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება 17 მარტს, 1 საათზე, დიდუბის პანთეონში. 848

აქსენტი ფილიპეს-ძე გამსახურდია და აკაკი, ერასტი, ყარამან, ბელარ, სევერიანე და ალექსანდრე ფალავები ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ამხანაგებს რომ პირველის საყვარელი დედა, ხოლო დანარჩენების ძვირფასი და დაუვიწყარი დეიდა

ნინო გამსახურდიასი
(ტარიელ შავდიას ასული)

გარდაიცვალა. დაკრძალვა კვირას, 17 მარტს, სოფ. ნოსირში. 843

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის სურათი

იგორ ილინსკი
ადა ვოიციკ
ვლადიმერ ფოგელი
გალინა კრავჩენკო

1928—29 წლის სეზონის საუკეთესო კომედიაში

დედოფალა მილიონებით

რეჟისორი ს. კომაროვი

ორშაბათს—18 მარტს—პრემიერა

კინო-თეატრებში „არფასტო“, „მინიონი“ და „პალასი“

ცირკი კოლოსი

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევისა
ტელეფ. № 8—64

3—2 ბ. 2396

დღეს
ახალი პროგრამის სანახაობანი

იაპონელი მსახიობი მაცაურა, იაპონელი მსახ. ქალი ისაიმა, აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები.

კვირას, 17 მარტს,

დღის დიდი სანახაობანი ახალი პროგრამით,

მონაწილეობს მთელი დასი და ყველა ახლად ჩამოსული გასტროლიორები. დასაწყისი დღის 2 საათზე. ბავშვები 8 წლამდე დიდებთან—უბილეთოდ ან 2 ბავშვზე ერთი ბილეთი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დამატება ინსტრუქციისა პურის წიგნაკების მიღების შესახებ
რომელიც გაზეთებში გამოცხადდა 14 მარტს

1. 16 მარტიდან 1 აპრილამდე შრომის ბირჟა შესწყვეტს უმუშევართა რეგისტრაციას და პურის წიგნაკებს მისცემს მხოლოდ იმ უმუშევრებს, რომელნიც აუცილებლად გატარებულნი არიან რეგისტრაციაში.
2. საწარმონი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები თანამშრომელთა დათხოვნის დროს 1 აპრილამდე ვალდებულნი არიან აცნობონ დათხოვნა შრომის ბირჟას და ამასთანავე აღნიშნონ, მიეცა თუ არა დათხოვნილ თანამშრომელს პურის წიგნაკი.
3. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი, სახლის მმართველობანი, კომენდანტები და სხვა პირები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან სახლის მმართველობისათვის, ცნობები კმაყოფაზე მყოფ პირთა შესახებ უნდა მისცენ ოჯახის მხოლოდ ერთ წევრს და ერთხელ.
4. მარტოხელა მოწაფეთა (სტუდენტების, სტუდენტი ქალების და სხვ.) სიები უნდა წარმოადგინონ სათანადო სასწავლებლებმა სახლის მმართველობის ცნობების მიხედვით.
5. საბჭოთა მუშაკების შინა მოსამსახურე ქალებს პურის წიგნაკები ეძლევათ ცალკეე, ლიტ. „ბ“-ს მიხედვით, იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებშიაც მსახურებენ დამქირავებელნი, სახლის მმართველობის ცნობების თანახმად.
6. სახლის მუშებს, პროფკავშირთა მარტოხელა წევრებს პურის წიგნაკები ეძლევათ თავიანთი ადგილკომების მეშვეობით.
7. იმ მუშაკებს, რომელნიც შეთავსებით მუშაობენ, პურის წიგნაკები ეძლევათ ძირითადი სამსახურის ადგილას იმ აუცილებელი პირობით, თუ სამსახურის სხვა ადგილებიდან წარადგენენ ცნობებს, რომ პურის წიგნაკი იქ არ მიუღიათ.
8. სიების შესადგენი ბლანკების გაცემა სწარმოებს ცენტრალურ კომისიაში (ყორესის ქუჩა), საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის საზაფხულო კლუბის შენობა). იქვე ცენტრალური კომისიის მორიგე წევრი იძლევა ყოველგვარ ცნობას 10 საათიდან 4 საათამდე.

პურის წიგნაკების შემომღები ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე **ოდილავაძე.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლასკარი.**

რუსთაველის თეატრი

2—1 ბ. 2404

კვირას, 17 მარტს

ხოზიკასი

„ხოჭოების დოლი“

კომ. 3 მოქ.

დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის. მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში.

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	მხატვრული ფილმი თუშეთის ცხოვრებიდან **ღრუბლების თავშესაფარი** სცენარი სულაკაურის რეჟისორი შ. ბერიშვილი ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
აპოლო	
არფასტო	
სოლეი	
პალასი	**პატი არისტოკრატი**
მინიონი	**6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს**
დარბაზი	**ნამდვილი ჯენტლმენი**
პროლეტარი	**ტარზანი** 5 და 6 სერია

თბილისის ახალი წყალსადენის სააღმშენებლო სამუშაოთა სამმართველო ა/წ. 2 აპრილს დღის 12 საათზე სამმართველოს ბინაზე (ქ. თბილისი კომინტერნის ქ. № 5)

ნიშნავს

შეჯიბრს

წყალსადენის თხრილების მიწის სამუშაოებზე დაახლოვებით ერთი კილომეტრის მანძილზე მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე სოფ. მცხეთის ზემოდ.

ხელშეკრულება დაიდება დაახლოვებით მიმდინარე წლის ოქტომბრამდის. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებაში იქვე მეორე სართულში (ეზოში) დღის 12 საათიდან—2 საათამდის ყოველ დღიურად.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო პირები და ცალკე ჯგუფები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრში, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ა/წ. 2 აპრილის დილის 10 საათის გამოგზავნონ სამმართველოში სათანადო სალერბო გამოსაღებების გადახდით განცხადებები დახურულ კონვერტებში ზედ წარწერით

„მიწის სამუშაოების შეჯიბრისათვის“

კერძო ორგანიზაციები და კერძო პირები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრში, ამას გარდა, ვალდებულნი არიან თავიანთ განცხადებებს დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ მათ შეტანილი აქვთ სამმართველოს სალაროში საწინდარი ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის რაოდენობით და აგრეთვე წარმოადგინონ შეჯიბრის დაწყებამდე სახელმწიფო ორგანოების სათანადო რეკომენდაციები მათ მიერ კეთილსინდისიერად შესრულებულ წარსულ სამუშაოებზე.

ბ. 2407 **სამუშაოთა სამმართველო.**

იყიდება
პოსტა ხვიჩიას ძე პილასონიას [illegible]
სახლი

ქ. ზუგდიდში, შაუმიანის ქ. № 14 ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში თბილისი, რუსთაველის პროს. № 34.

0—2 გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ბ. 25—19.

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ბ. 25—9

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—8 ნახ.
საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6 8

შაბათს, 16 მარტს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იხსნება

მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების
1-ლი სრულიად საქართველოს ყრილობა

დღის წესრიგი:

1) ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა საქართველოში (ამხ. **ფ. მახარაძის** მოხსენება)
2) მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მოხსენება (**კამენშტეინი**).
3) ანგარიში საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების მუშაობის შესახებ (**მარკმანი** და **კაკიტელაშვილი**).
4) საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების სარევიზიო კომისიის მოხსენება (**იზრაელი**).
5) მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტის მოხსენება ებრაელთა მიწადმოწყობის პერსპექტივების შესახებ საქართველოში (ამხ. **ჯულელის** მოხსენება).
6) არჩევნები.

მანდატების გაცემა სწარმოებს საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების გამგეობაში (ველიამინოვის, 21 ყოველ დღე, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე, ხოლო ყრილობის გახსნის დღეს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

ყრილობის კომფრაქციის სხდომა შესდგება 16 მარტს საღამოს 5 საათზე.

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების გამგეობა. ბ. 2399

სარეწაო კოოპერაციის თბილისის ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრები, მარტოხელა ხელოსნები პურის წიგნაკების მისაღებად ვალდებულნი არიან

ა/წ. 17 მარტამდე წარმოადგინონ სალაროს გამგეობაში (პუშკინის ქ. № 4) სახლის მმართველობის, საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის ან უბნის მილიციის მიერ შემოწმებული ცნობები, მათ კმაყოფაზედ მყოფ ოჯახის წევრების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წევრების რაოდენობა აღემატება სალაროს მიერ უკვე მიღებულ ოჯახის წევრთა რაოდენობას. თავის დროზე ცნობების წარმოუდგენლობის გამო სალაროს გამგეობა იძულებული იქნება შეავსოს სათანადო სიები: კმაყოფაზედ მყოფ ოჯახის წევრთა იმ რაოდენობით, რომელიც სალაროს განკარგულებაშია და შემდეგში არავითარი ცვლილებები აღნიშნულ სიებში შეტანილი არ იქნება.

სალაროს წევრები, რომელთა მიერ არ იქნება შეტანილი ყოველთვიური დასაზღვევი %%-ული ანარიცხები, ამორიცხული იქნებიან პურის მისაღებ სიებიდან.

სალაროს ყველა წევრები, რომელნიც ირიცხებიან მუშკოოპის წევრებად, ვალდებულნი არიან ა/წ. 17 მარტამდე წარმოადგინონ სალაროს გამგეობაში მუშკოოპის წიგნაკები, რეგისტრაციაში გასატარებლად.

ბ. 2397 სალაროს გამგეობა: **ვ. კვანტალიანი**

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა

ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები **კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

პენსიონერების საყურადღებოდ

პურის მისაღებ წიგნაკების მისაღებათ პენსიონერები უნდა გამოცხადდენ დიდი ვანქის ქუჩაზე № 3—(უმუშ. ქ/განყოფილების შენობაში, შემდეგი წესით

16 | III-ს ნაშუადღევის 3 საათზე ის პირნი, რომელთა გვარები იწყება ასოებზე—ა. ბ. გ. დ. ე. ვ. ი. ზ.
17 | III—9 საათზე—კ. ლ. მ. ნ. ო. პ.
18 | III—9 საათზე—რ. ს. ტ. უ. ფ.
19 | III—9 საათზე—ყველა დანარჩენები.

თან უნდა იქონიონ საპენსიო წიგნაკი და სახლის წიგნაკიდან ამონაწერი მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა შესახებ, რომელიც იქნება შემოწმებული რაიონული მილიციის ან საბინაო ამხ-ბის მიერ.

ვინც არ გამოცხადდება, წიგნაკები არ მიეცემა.

ბ. 2406 **სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტი.**

ნ. ბ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ბ. 10. 25—1

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)

ექ. ი. დ. თოფურიძე

კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეის გართულებები)

მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ
ქალები 10—11 დილით

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ.
საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—1

ექიმი

დავით მანუჩარის-ძე
თოფურია

განაახლებს ავადმყოფების მიღებას ქალ. ბათომში ჯორჯიაშვილის ქ. № 1, ა. წ. 20 მარტიდან.

მიღება დილის 9—11
საღამოს 5—8

ქალებისათვის და ბავშვებისათვის განცალკევებით.

835 13—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—

დაიკარგა სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის საწევრო წიგნაკი № 182 სანდრო ცუხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 852

დაიკარგა რკინის გზის პირადობის მოწმობა № 82 ელისაბედ მარკოზის ასულის ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 851

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი ვასო ციმაკურიძის სახელზე, ჩ. გ. 84

დაიკარგა სამხედრო-საალრიცხვო წიგნაკი, მიღებული თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარიატიდან მოქ. გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძ სახელზე, ჩ. გ. 85

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ.
საღ. 6 ს.—8 საათ.

ტირაჟი—39.436

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.